## მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა

### I

გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ ამ ხანებში უნდა მოხდეს მეორე კონგრესი მთელის რუსეთის პროფესიონალურ ორგანიზაციათა და, როგორც ამ კონგრესის პროგრამა გვიჩვენებს, რუსეთშიც იწყება დამოუკიდებელი, მუშების თვით მოქმედებაზე დამყარებული მოძრაობა. ამისთვის მეტი არ იქნება გამოვარკვიოთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ამ გვარ ხასიათის მუშათა მოძრაობაზე. იმ მოძრაობას, რომელსაც სარევოლიუციო სინდიკალიზმი ეწოდება, დღემდის ჩვენთვის უფრო პრინციპიალური ხასიათი ჰქონდა, ვინემ პრაქტიკული. ამ ბოლო დროს გარემოება სრულიად იცვალა: აღმოცენდა პროფესიონალური კავშირები, რომელნიც შეეცადნენ პოლიტიკურ პარტიათაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციების შექმნას. ამ ორგანიზაციებს, მათ მოძრაობას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, მხოლოდ ამ მუშათა ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნა ნამდვილ მუშურ მოძრაობისა, მხოლოდ ამგვარ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისეთი პარტიის შექმნა, რომელსაც უტყუარად შეიძლებოდეს კაცმა მუშათა პარტიის სახელი მიათვისოს. დღევანდელი ჩვენი პარტიები, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში მხოლოდ სახელით არიან მუშათა პარტიები, ისე კი მათ ინტელიგენცია შეადგენს, ინტელიგენცია განაგებს. ხშირი შემთხვევაა, როცა მუშათა პარტიის გამგეობაში, მუშათა პარტიის კომიტეტებში ერთი მუშაც არ მოიპოვება და მუშათა პროფესიონალურ საქმეებს განაგებენ ისეთი კაცები, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ არც ერთ პროფესიასთან. თანამედროვე ეგრედ წოდებული სოციალისტური პარტიები ნამდვილი ინტელიგენციის პროლეტარიატზე დიქტატურას წარმოადგენენ, ნამდვილ, ღრმა მუშურ მოძრაობის განსავითარებლად კი საჭიროა ეს დიქტატურა ჩამოერთვას ინტელიგენციას, და მუშათა ორგანიზაციები დამყარებულ იქმნან თვით მუშათა თვით-მოქმედებაზე. საჭიროა ინტელიგენცია იყოს მსახური და და არა გამგე და დიქტატორი მუშათა მოძრაობისა. ამნაირ აუცილებელ და საჭირო ცვლილების მოხდენა მუშათა მოძრაობაში შეუძლიათ მხოლოდ მუშებს და მათ პროფესიონალურ ორგანიზაციებს. აღმოცენება ამ პროფესიონალურ კავშირებისა ისტორიული საჭიროებაა. არ შეიძლება მუშათა მოძრაობის არსება, თუ ის მძლავრ, მომქმედ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებზე არ არის დამყარებული და ამისათვის, სადაც მუშური მოძრაობა განვითარდა და მიაღწია თავის განვითარების ცოტა არ იყოს უმაღლეს წერტილს, მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციების მნიშვნელობა ერთი ორად გადიდდა, მთელი მუშათა მოძრაობა მასში მოიქცა.

***

სინდიკატები, ე. ი. კავშირები ერთი და იგივე პროფესიისა, ერთსა და იმავე ხელობის მუშების პარტიის და მიმართულების განურჩევლად კავშირდებიან ერთმანეთს შორის, რადგან მუშები, რაც უფრო განვითარებულნი არიან, უფრო გრძნობენ, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს მათ და მეპატრონეთა შორის, ყოვლის უმალ არის ეკონომიური დამოკიდებულება, დამოკიდებულება წარმოებითი. ისინი გრძნობენ, რომ მათთვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა ეკონომიური იარაღი, ორგანო მეპატრონეთა წინააღმდეგ ეკონომიურ, წარმოებითი ნიადაგზე საბრძოლველად. ეს შეგნება, ეს საჭიროება წარმოშობს მუშათა კავშირებს, იწვევს მათ განვითარებას და შეერთებას, მაგრამ მათი ევოლიუცია პოლიტიკური და სოციალური რა კი ისინი ერთხელ აღმოცენდებიან, დამოკიდებულია ბევრ რთულ მიზეზთაგან. შეიძლება ითქვას, რომ თავის საზოგადო ხასიათით პროფესიონალური კავშირები საზღვარგარედ ორის ტიპისანი არიან: ერთის მხრით დიდი და ძლიერი კავშირები, რომელთა მიზანია შეაერთონ რაც შეიძლება მეტი მუშა, შექმნან დიდი თანხა მუშაობა მოკლებულ მუშათათვის დასახმარებლად. ერთის სიტყვით, ამ გვარი ტიპის ორგანიზაციები მაინც და მაინც მებრძოლი, სარევოლიუციო ორანიზაციები არ არიან, ისინი სცდილობენ დღესვე ცოტად მაინც პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მუშებს მატერიალურ ნიადაგზე, ხელი შეუწყონ ყოველგვარ პროფესიონალურ საქმეებში და სხვ. ამ გვარპროფესიანალურ მოძრაობის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ სახელგანთქმული ტრედ-უნიონების მოძრაობა ინგლისში და გერმანიის ხელოსანთა კავშირები. მეორე ტიპის პროფესიონალური ორგანიზაციები იმდენ ყურადღებას არ აქცევენ თანხათა შექმნას, მათ სრულიად არ აქვთ ქველმოქმედებითი ხასიათი, ისინი შეგნებულ მუშა სოციალისტთა ორგანიზაციებს წაამოადგენენ და მოძრაობაში თამაშობენ როლს გაბედულ მოწინავე მებრძოლ რაზმისას ესენი არიან ინიციატორები ყოველის ახალ ცდისა, ყოველ მკაფიოდ გამოხატულ კლასობრივი ბრძოლის მომხრენი და დამხმარენი. ამ გვარ პროფესიონალურ მოძრაობის ტიპად შეგვიძლია ავიღოთ ესპანია (სადაც ეს მიმართულება სუფევს ბაკუნინის დროიდან და სადაც მუშების დიდი უმეტესობა ემხრობა მას) და საფრანგეთი, სადაც ამ ბოლო დროს სარეულიუციო სინდიკალიზმი ისე განვითარდა, რომ სოციალურ რევოლუციის აჩრდილი იქაურ ბურჟუაზიას ძილში თუ ცხადში თან დასდევს და მოსვენებას არ აძლევს. პირველი ტიპის, ე. ი. ინგლისის და გერმანიის ორგანიზაციები, ძალიან ფრთხილი, ანგარიშიანი, მშვიდობის მოყვარულნი არიან და რაც უფრო იზრდება მათი სიმდიდრე, მით უფრო ფრთხილი და ანგარიშიანი ხდებიან. გაფიცვას ისინი ადვილათ არ მიმართავენ, მაგრამ თუ მიმართეს, მიმართავენ ხანგრძლივ ბჭობა-მსჯელობის შემდეგ ბევრი ფული თუ აქვს თავიანთ კასაში და გაფიცვაც დიდხანს გასტანს. მიუხედავად ამისა გაფიცვის წაგება იქ უფრო ძვირი შემთთხევა არ არის, ვინემ მხვაგან. მაგალითად ავიღოთ თუნდ ინგლისის მექანიკთა უზარმაზარი გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა დაახლოვებით 6 თვეს და მუშებს 27 მილიონი ფრანკად უჯდათ (ფრანკი 37 კაპეიკია). მათი ორგანიზაციული პრინციპი ცენტრალიზმია, მათი პრაქტიკული საქმე—მეპატრონეებთან სამედიატორო სამართალი, კოლექტიური ხელშეკრულობა, დამხმარე თანხათა კასების გაძლიერებაა.

მეორე ტიპის ორგანიზაციებს სულ სხვა ხასიათი აქვსთ. აქ იმედებს ფულებზე კი არა, მოქმედებაზე ამყარებენ. მათ გაფიცვებს ყოველთვის სარევულიუციო ხასიათი აქვს, ის აჯანყებას მიაგავს და ყველა მათ გაფიცვების დამახასიათებელი ნიშანი გაერთიანებისკენ მისწრაფებაა. იქ სოლიდარობის პრინციპს ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან უფრო შეგნებულია სოლიდარობა მუშათა ინტერესებისა. ამისათვის იქ სოლიდარობის გაფიცვა (ე. ი. იმ

პროფესიების მიერ, რომელნიც პირდაპირ გაფიცვაში არ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მაინც აცხადებენ გაფიცვას, რათა მხარი მისცენ მოძმეთა) gréve de solidarité ძლიერ გავრცელებულია. მათ ცოცხალ, მომქმედ და მმოძრავ ხასიათისდა შესაფერად მათი ორგანიზაციული პრინციპი ფედერალისტურია. მათი სულის ჩამდგმელი და აღმფრთოვანებელი იდეა—საერთო გაფიცვაა, რომელსაც ისინი ისე უყურებენ, როგორც სოციალური რევოლიუციის დასაწყისს ასეთია ორი ტიპი მუშათა ორგანიზაციათა საზღვარ გარედ, სადაც მუშას მეტი გამოცდილება, მეტი პოლიტიკური სიმწიფე აქვს. როგორი იქნება ჩვენში და საზოგადოთ რუსეთის იმპერიაში პროფესიონალური მოძრაობა, რომელსაც, როგორც ეს ვსთქვით, ისე დიდი მნიშვნელობა აქვ ნამდვილ და ღრმა მუშათა მოძრაობის გასავითარებლად? რომელ გზას აირჩევს იგი? მათი მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პრინციპებს აირჩევს იგი თავის მომქმედების და ცხოვრების გამგე პრინციპებად. რა გარკვეულ გზას დადგებიან ეს, პარტიების მხრივ ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი, ორგანიზაციები.

* * *

სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მუშათა კავშირებს ყოველთვის მეორე ხარისხოვანი, დამოკიდებული ადგილი უჭირავთ და ასეც უნდა იყოს, რადგან სოციალ-დემოკრატთათვის პოლიტიკურ ძალის ხელში ჩადგება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს საზოგადოების ეკონომიურ საძირკვლების შეცვლის საქმეს. მათთვის **პირველი ნაბიჯი** პოლიტიკური ძალის ხელში ჩაგდება არის, **მეორე**—ეკონომიურ ცვლილებათა მხოლოდ **დაწყება და არა განხორციელება**. ამ პირობებში, ეს მათი მხრით ყოვლად ლოღიკური ქცევაა, დედაბოძად პირველი მოქმედებისა პოლიტიკური მოქმედება ხდება. იქ, სადაც კონსტიტუციონალური რეჟიმი უკვე დამყარებულა, ისე, როგორც იქ, სადაც კონსტიტუციონალური რეჟიმი დასამყარებელია, მათი აზრით, სოციალური ბრძოლა ორ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ხანად უნდა იქმნას გაყოფილი: პირველი ხანა სამმართველო ძალის ხელში ჩაგდებისა იქ, სადაც წარმომადგენლობითი სისტემა უკვე არსებობს და იქ კი, სადაც ეს სისტემა არ არსებობს, მისი განხორციელება. მეორე ხანა ეკონომიურ ცვლილებათა მხოლოდ დაწყებაა იქ, სადაც პოლიტიკურ ძალას ხელში ჩაიგდებენ, იქ კი, სადაც წარმომადგენლობითი სისტემა განხორციელდება ცდა პოლიტიკურ უფლების მოპოებისა, ეკონომიურ ცვლილებათა პროგრამა მინიმუმის განხორციელებით მომზადება და მხოლოდ მერმედ დაწყება ძირეულ ეკონომიურ ცვლილებათა. ასე ამ პირობებში, ადვილი მისახვედრია, მთელი პარტიის ძალღონე ხმარდება პოლიტიკას, პოლიტიკურ ორგანიზაციების შექმნას და წმინდა პულიტიკურ და დემოკრატიულ ნიადაგზე მოქმედებას. ამ მოქმედებაში ხედავს პარტია თავის უმაღლეს დანიშნულებას, თავის უმთავრეს მიზანს და სწორედ მაგგვარი მოქმედება ხდება სულად და გულად პარტიულ მოძრაობისა და ცხოვრებისა. რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მისთვის წმინდა მუშურ და პროფესიონალურ მოძრაობას? იმათს მოქმედებითი სხემაში პროფესიონალური ორგანიზაციები არ თამაშობენ არავითარ პირველ ხარისხოვან როლს. სოციალ-დემოკრატთა შეხედულებით, მაგგვარი ორგანიზაციები არ არიან დანიშნულნი, ითამაშონ პირველ-ხარისხოვანი როლი არც თვით რევოლიუციის დროს, აქ თითონ უნდა განაგოს ყველაფერი, რადგან სოციალდემოკრატიის მიზანი პოლიტიკურია და არა ფართო სოციალური, კავშირები კი ყოვლის უმალ მას ვიწრო ყოველდღიურ ინტერესთა დასაცავ ორგანიზაციებათ მიაჩნია და არც რევოლიუციის მერმედ სოციალურ ცხოვრების მოწყობა-მოთადარიგებაში, რადგან, იმავე სოციალდემოკრატიის აზრით, რევოლიუციის მერმეც უნდა დარჩეს სახელმწიფო, რომელიც ამ ცხოვრების მოწყობა-მოთადარიგებას არავის დაუთმობს. რაღა როლი რჩება პროფესიონალურ ორგანიზაციებს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში? ძალიან უმნიშვნელო: შინაურულ პროფესიონალურ საქმეთა გამგეობა. სოციალდემოკრატიულ მოძრაობაში პროფესიონალური ორგანიზაციები ისეთ მდგომარეობაში არიან, როგორც ზოგიერთი ქვეყნები, რომელნიც მეორე ნაციის ბატონობის ქვეშ ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენსავით სრულიად მთლად დამონებულნი კი არ არიან, ფინლანდიის ოდენა ავტონომია მაინცა აქვთ, სადაც შინაურ საქმეებს თვით ფინლანდიელები განაგებენ, მაგრამ ბიუროკრატიის ჩინოვნიკები მაინც ეჩხირებიან აქაც საქმეში, ხოლო გარეშე საქმეებს პეტერბურგიდან განაგებენ ყოველ პასუხისგებისაგან თავისუფალი ბატონები. ასეთია მდგომარეობა პროფესიონალურ ორგანიზაციათა სოციალდემოკრატიის სამეფოში. ამისათვის, როგორც ბიუროკრატია არ ეძებს ფინლანდიელთა შეგნებულობის გაძლიერებას, მათში თვით-მოქმედების სურვილის ჩანერგვას, ისე არც სოციალდემოკრატია ესწრაფვის პროფესიონალურ ორგანიზაციათა თვით-მოქმედების გზაზე დაყენებას, ეს მისთვის არც სასურველია, რადგან თვით-მოქმედების განვითარებას დამოუკიდებლობის სურვილი მოსდევს და ეს სურვილი სოციალდემოკრატიისთვის სახიფათოა, მას პროფესიონალურ ორგანიზაციათა სრული განცალკევება შეიძლება მოჰყვეს, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში იყო. ყველა ამისათვის სოციალდემოკრატია სცდილობს, პროფესიონალური ორგანიზაციები პოლიტიკის მაღალ სფერაში არ ჩაერიონ. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო, გადახედეთ სოციალდემოკრატიულ ლიტერატურას და დარწმუნდებით, როგორ მკაცრად ჰყოფს სოციალ-დემოკრატია პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა მოქმედების სფერებს. უმაღლეს პოლიტიკას, გამგეობას, წმინდა საქმეებს, იდეიურ წინამძღოლობას ის—ეს ახალი არისტოკრატია—კისრულობს. ხოლო შავ საქმეებს, ვაჭრობის პოლიტიკასა და პოლიტიკურ მოქმედებისათვის ფულის მოგროვებას ის—დიდი სულოვანი—ათვისებს პროფესიონალურ ორგანიზაციებს. თუ ხან და ხან სოციალ დემოკრატიის მემარცხენენი ვითომ-და სარევოლიუციო მოქმედების მეტოდს ილებენ ეს მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციათათვის, ეკონომიურ ორგანიზაციათათვის სარევოლიუციო მოქმედება აკრძალულიხილია, რომელსაც საშინელი ცდომილება, ე. ი. ანარქიის უფსკრულში ჩავარდნა შეიძლება მოჰყვეს შედეგად. მაგალითად თუნდ საერთო გაფიცვა ავილოთ. რა კი უკანასკნელ 15 წლის ცდამ დაამტკიცა, თუ რა დიდი ძალის მქონე იარაღია საერთო გაფიცვა მუშათა ხელში, სოციალ დემოკრატებმა 25 წლის შემდეგ საერთო გაფიცვის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისა—იკადრეს და ალიარეს იგი. არც შეეძლოთ სხვაფრივ მოქცეულიყვნენ, რადგან უამისოთ მუშე-

ბი სრულიად ჩამოშორდებოდნენ მათ. მიიღეს საერთო გაფიცვა ამსტერდამის კონგრესზე, მაგალითად, მაგრამ როგორ მიიღეს ან რა ხასიათი მიცეს იმას? საერთო გაფიცვა, ეს უძლიერესი სახსარი სოციალურ ბრძოლისა, პარლამენტარიზმის შესავსებელ და დამცველ იარაღად გამოაცხადეს. მაგალითად, გერმანელ სოციალ დემოკრატთა აზრით, საერთო გაფიცვა საჭირო არ არის, თუ მთავრობა პარლამეტარიზმს არ შეზუდავს და ნებას მისცემს სოციალ დეოკრატიას, რომ იგი ძველებურად გაერთოს, ითამაშოს „კენჭობია“. მაგრამ თუ ვინმე საპარლამენტო უფლებებს შეეხება და შეზულავს, მაშინ გაუმარჯოს საერთო გაფიცვას! მაგრამ ეს საერთო გაფიცვა ისე უნდა მოეწყოს, რომ ის საერთო-გაფიცვა კა აღარ იყოს, არამედ პოლიტიკური გაფიცვა მასსისა—politischen massen Streick. ერთი სიტყვით სოციალ-დემოკრატიამ მიიღო საერთო გაფიცვა, მაგრამ ისეთი ფორმა და შინაარსი მისცა, რომ სრულიად დაუკარგა ხასიათი სარევოლიუციო, საეკონომიო ბრძოლისა. ტყუილად კი არ აურჩევიათ სოციალ დემოკრატებს სიტყვა **მასსა** სიტყა **კლასსის** მაგიერ. საფრანგეთის, ისპანიის, იტალიის, სამხრეთ ამერიკის მუშები ამბობენ—საერთო გაფიცვა მუშათა კლასისა, ე. ი. აჯანყება მუშათა მეპატრონეთა წინააღმდეგ წარმოების ნიადაგზე. სოციალ-დემოკრატია ამბობს: მასსის გაფიცვა. აქ მხოლოდ სიტყვაში კი არ არის საქმე. აქ ორი სულ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე მისწრაფებანი შეეჯახნენ ერთმანეთს: სარევოლიუციო სინდიკალიზმი საერთო გაფიცვას სოციალურ ტრანსფორმაციის იარაღად სახავს, სურს საერთო გაფიცვას კლასობრივი ბრძოლის ხასიათი მისცეს, და მის მიზნად თანამედროვე წეს-წყობილების დამხობა და მის ადგილზედ თანასწორობის და თავისუფლების წეს-წყობილების განხორციელება სურს გახადოს ე. ი. სარევოლიუციო სინდიკალიზმი საერთო გაფაცვას უყურებს, როგორც დასაწყისს სოციალურ რევოლიუციისას. სოციალ დემოკრატია ამ გვარ საერთო გაფიცვის წინააღმდეგია და მუშებსაც აფრთხილებს: არ მიემხროთ სოციალურ, ე. ი. ანარქისტულ საერთო გაფიცვასაო. ამნაირი საერთო გაფიცვა მით არის საშიში, დასძენს ბერნშტეინი, რომლის აზრებიც საერთო გაფიცვის შესახებ გახდნენ მთელი პარტიის აზრად, რომ მას კაცი ანარქიზმისკენ მიჰყავს, მაგალითი დაქტორი ფრიდებერგიო. აქ, ამ საერთო გაფიცვის საკითხში, ანტაგონიზმი სოციალ-დემოკრატიის და მუშათა კლასის მისწრაფებათა შორი საშინელის სინათლით იხატება; სოციალ-დემოკრატიას სახელმწიფოს და სამმართველო ძალის ხელში ჩაგდება სურს—პროფესიონალურ ორგანზაციებში შეკავშირებულ მუშებს კი უნდათ ხელში ჩაიგდონ საწარმოვო იარაღები და მთელი არსებული სიმდიდრე, რომ თავის ეკონომიურ სიმძლავრეზე აშენონ თავიანთი თავისუფლება და ამ უზარ მაზარ მიზნის განხორციელებისთვის ისინი არავითარ გარეგნულ ძალას არ მიმართავენ, რადგან არავითარ მუშათა კლასს გარეშე მდგომარე ძალის ნდობა არ აქვთ, თავის იმედებს მხოლოთ თავიანთ ორგანიზაციების ენერგია-გაბედულებაზე და თვით მუშა ხალხის თვით-მოქმედებაზე ამყარებენ. აგრეთივე დიდი წინააღმდეგობაა სოციალ-დემოკრატიისა და სინდიკალისტთა შეხედულებას შორის „საერთო გაფიცვის მიორე დღის“, „რევოლიუციის მეორე დღის“ შესახებ. ვინ უნდა მოაწყოს წარმოება საერთო გაფიცვის გამარჯვების მეორე დღეს? სოციალ-დემოკრატიის აზრით,—სახელმწიფომ. სინდიკალისტთა აზრით-კი თვით მწარმოებელთა ჯგუფებმა, მათმა შრომის ბირჟებმა, მათმა საერთო კონფედერაციამ, რომელშიაც ყველა ხელობის მუშები არიან წარმოდგენილნი თავიანთის სინდიკატებით. ჩვენთვის ამ მუშათა ჯგუფებს, რომელნიც ჩვენს მოქმედებით სხემაში ისეთ დიდ როლსა თამაშობენ, ისეთივე პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, როგორც სოციალ-დემოკრატებისთვის პარლამენტს. მათ შემადგენლობას, სულის მდგომარეობას, მიმართულებას ჩვენთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სოციალ-დემოკრატიისთვის შემადგენლობას და სულის მდგომარეობას მომავალ სუციალისტურ მართველობისას.

თუ იმ ახალ პროფესინალურ მოძრაობას, რომელიც ეხლა იწყება იმპერიაში, სოციალ-დემოკრატიის გავლენა დააწვა მძიმე ლოდად, თუ იმისი განვითარება იმათ გავლენის ქვეშ მოხდა, ან თუ ეს ახალი მოძრაობა ყოველ სოციალისტურ გავლენის გარეშე დარჩა, როგორც, მაგალითათ, ეს ინგლისში მოხდა, მაშინ, ეჭვი არ არის, ეს მოძრაობა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, მაშინ პროფესიონალური ორგანიზაციები ვერ ითამაშებენ ვერავითარ დიდ მნიშვნელოვან როლს ვერც სარევოლიუციო მაძრაობასა და ვერც თვით რევოლიუციაში. ის კი არა, შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში მაგვარი ორგანიზაციები კონსერვატიულ ძალად გახდნენ და თუ რომელიმე მათ გარეშე მდგომარე გაბედული უმცირესობა დაიწყებს სოციალურ მოძრაობას, ის არა თუ დახმარებას, დაბრკოლებას უნდა მოელოდეს მაგვარ ნიადაგზე დამდგარ პროფესიონალურ მოძრაობისაგან. ცხადია, ამ პირობებში სოციალური გარდაქმნის ცდა ცდათ დარჩება, რომ რამე მოხერხდეს, ისიც უდღეური იქნება, რადგან არ იქნება დამყარებული მჭიდროთ დაკავშირებულ მწარმოებელთა ძალაზე. ამ გვარ, არა-მუშათა მუშურ ორგანიზაციებზე დაუმყარებელ სოციალურ ცდას უკეთეს შემთხვევაში შეიძლება შედეგად მოჰყვეს მმართველობის გამოცვლა, უარეს შემთხვევაში შეიძლება კი ის სრულიად დამარცხდეს თვით მუშათა უმოქმედობის და მოუმზადებლობის გამო.

მაგრამ თუ პროფესიონალური მოძრაობა, როგორც საფრანგეთსა და ესპანიაშია მაგალითად, სარეოვოლიუციო, ანარქისტულ ელემენტთა ზეგავლენის გამო დაადგა თვით მოქმედების გზას კლასობრივ ნიადაგზე, თუ მუშათა კავშირებმა სრული სოციალური ტრანსფორმაცია გაიხადეს მიზნად და სკლასობრივი, სოციალურ ხასიათის საერთო გაფიცვა—სახსრად, თუ მათ ეხლავე შეიგნეს და გაითვალისწინეს, როგორც საფრანგეთის სინდიკატები შვრებიან, როგორ მოიქცნენ საერთო გაფიცვის გამარჯვების მეორე დღეს, თუ მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები მტკიცედ დაადგნენ იმ გზას, რომ თავიანთი ორგანიზაციები და არა სახელმწიფო გახადონ მომავლის წარმოების მოთადარიგების ორგანოთ, თუ ისინი დღეიდანვე უარს იტყვიან ყოველ შუამავლებსა და ვექილებზე, თუნდ ამ უკანასკნელებს სოციალ დემოკრატებიც ერქვას, და თითონვე შეუდგებიან თავიანთ საქმის ხელმძღვანლობა-მოწყობას და გაეწევიან **მთელის** თანამედროვე წეს-წყობილების წინააღმდეგ **პირდაპირ** კლასობრივ ბრძოლას, ყოველ იჭვს გარეშეა, ისინი ძალიან დიდ როლს ითამაშებენ როგორც თანამედროვე საზოგადოებრივ ევოლიუციასა, ისე ამ საზოგადოების გარდაქმნაში.

# კანონი

## II

(გაგრძელება)

მთავრობის პრეტენზია და ვითომც მიზანი, როგორც არა ვსთქვით, — დაცვაა ადამიანის სიცოცხლისა „დამნაშავეთაგან“, დაცვაა საკუთრებისა, წესიერებისა, ასე გასინჯეთ თავისუფლებისაც, — კანონებით.

მაგრამ სწორედ დაცვის განზრახვათა ფორმულაა კანონი, რომელიც ძალით გადის ცხოვრებაში, და სწორედ ამითი ეწინააღმდეგება იგი თვით საზოგადოებრიობის მიზანთა და მისწრაფებათა და ხდება ანტისოციალურ მოვლენად.

იგი არა თუ ვერ აღწევს ვერავითარ მიზანს, არამედ თვით ამ მიზანთა წინააღმდეგია, როდესაც თვით ხალხსა სურს ამ მიზანთა მიღწევა, და ამითი იწვევს საშინელს წინააღმდეგობას ხალხის მხრივ, ხდება „დანაშაულობის“ წყაროდ.

კანონი ადამიანის სიცოცხლის გარანტია არ არის.

უმეტესი ნაწილი დანაშაულთა სულ სხვა მიზეზთაგან არის გამოწვეული, ვიდრე ადამიანის ბუნებიდან, რომელიც კანონს მართლა ცუდი ჰგონია და სჯის ამ დანაშაულს, როგორც საზოგადოებისათვის ცუდსა და მავნებელს მოვლენას.

კაცის კვლათა მიზეზი არ არის ადამიანის ცუდი ბუნება, არამედ თვით ეს ცუდი ბუნებაა შემუშავებული ყველა იმ ცუდ პირობათა მიერ, რომელთაც კანონი განამტკიცებს, და ამგვარად თვით კანონი ხდება წყაროდ დანაშაულთა. კაცი კაცსა ჰკლავს ან იმიტომ, რომ რაიმე მატერიალისტური ინტერესი აქვს, ან შურისძიება ამოქმედებს, ან და ავადმყოფია.

მოსპეთ კერძო საკუთრება და დაამყარეთ კომუნისტიური საზოგადოება, სადაც ადამიანი მუშაობდეს თავისუფლად დაიკმაყოფილებდეს ყველა თავის მოთხოვნილებათა, მოსპეთ ცუდი აღზრდა ადამიანისა, ჩააყენეთ იგი კარგ ზნეობრივ პირობებში და სხვ., და დანაშაულიც მოისპობა. კანონი კი ყველა ზემოხსენებულ ცუდ პირობათა მფარველია და არა მომსპობი, და ამიტომაც ებლაც კი დანაშაულთა რიცხი იზრდება ან მცირდება არა იმის მიხედვით, რა ზომებს იღებს კანონი დინაშაულთა წინააღმდეგ, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ცვლება პირობები, რამდენადაც ეს შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოებაში, ადამიანის აღზრდისა და მატერიალურ კეთილდღეობისა.

კანონი დანაშაულობის მოვლენის მიზეზთ კი არ ებრძვის, არამედ ამ მოვლენათა მსხვერპლთ, — ამიტომაცაა იგი ანტისოციალური მოვლენა.

როგორც კეტლემ დაამტკიცა, დანაშაულთა რიცხვზედ უფრო ამინდსა, მოსავალსა, წლის სხვა და სხვა დროთა და სხვა პირობებს აქვს გავლენა, ვიდრე კანონის სისასტიკეს, — და ამ მხრით კანონი ვერ აღწევს ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიზანს სრულებით, რასაც უკვე ბევრი კრიმინოლოგი აღიარებს ცოტათი გულწრფელად. მატერიალურ ინტერესთა მიერ გამოწვეულ დანაშაულობის წინააღმდეგ — კომმუნიზმი, სიავისა, შურისძიებისა და სიძულვილის წინააღმდეგ — კარგი აღზრდა და ზნეობრივი განვითარება ადამიანისა ბავშვობიდან, ავადმყოფობის წინააღმდეგ — კარგი სამკურნალოები და ექიმები, და არა ჯალათი და ციხე, არა ჟანდარმი და მსაჯულ-ადვოკატი! მაშინ „დანაშაულიც“ მოისპობა.

კანონის პრეტენზიაა აგრეთვე საკუთრების დაცვა.

მაგრამ საკუთრებასაც განსაზღვრა უნდა. საკუთრება მრავალნაირია.

იცავს კანონი მართლაც ადამიანის საკუთრებას? — სრულიადაც არა. იგი მხოლოდ საკუთრების ერთ ფორმას იცავს — კერძო საკუთრებას, ე. ი. ექსპლუატაციას, ქურდობასა და ავაზაკობას.

მთელი კაცობრიობის სიმდიდრე მისი საკუთრებაა. რომ განვიხილოთ მხოლოდ ერთი რომელიმე საგანი ცოტად თუ ბევრად რთულ პირობებში ნაწარმოები, იგი მთელი საზოგადოების ნაწარმოებია, მთელი **მწარმოებელ** საზოგადოებისა. საგანი ნაყოფია — მთელი მწარმოებელი საზოგადოების ენერგიის ტრიალისა, მას ათასნაირ ენერგიის მუშაობასთან აქვს საერთო დროსა და სივრცეში, — და ამავე დროს იგი საკუთრებაა **ერთი** ადამიანისა, ან ადამიანთა ერთის ჯგუფისა, და ამასთანავე, სწორედ **კანონის ძალით: — არა მწარმოებლისა**. სხვანაირად რომა ვსთქვათ, სიმდიდრე კომმუნისტური ნაწარმოებია, იგი კომმუნისტური საკუთრება უნდა იყოს; და ამის მაგივრად იგი გამხდარა ერთის ან ერთის ჯგუფის საკუთრებად, კანონი კი საკუთრების აბსურდული ფორმის დამცველია ძალ-მომრეობით.

ამაშია აგრეთვე მისი ანტისოციალური ძარღვი, და როდესაც ადამიანი არღვევს კერძო საკუთრების კანონს, ეს უკანასკნელი მას სჯის და ამითი ამრავლებს „დამნაშავეებს“, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია შურიანმა კაცმა თავისი ნაწარმოების ნაწილიც არ მიითვისოს, როდესაც უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობაშია. და მართლაც ამ კერძო საკუთრების ინსტიტუტს შეეხება უმეტესი ნაწილი კანონთა, და უმეტესი ნაწილი დანაშაულთა კერძო საკუთრების კანონის დარღვევის ნიადაგზედ ხდება.

ამ მხრივაც კანონი დანაშაულთა წყაროა.

მოსპეთ კერძო საკუთრება, — მოისპობა მრავლის უმრავლესი დანაშაულიც საზოგადოებაში.

„წესიერების“ დაცვა? — ეს ხომ სულ მთლად აბსურდია!

კანონიერი წესიერება ადამიანთათვის ყოველნაირი მოძრაობის აღკრძალვაა კანონის ძალით, ეს უკანასკნელი კი კრძალავს ადამიანთა იმ მოძრაობას, რომელიც თანამედროვე წყობილებას ემუქრება დანგრევით, ე. ი. უსაჭიროეს მოძრაობათა, და შემდეგ სდევნის და სჯის ადამიანს ამ უუსაჭიროეს მოძრაობათათვის, კანონის სიტყვით აგრეთვე „დანაშაულთათვის“.

აი კიდევ რატომ არის კანონი დანაშაულთა წყარო.

წესიერება კანონიერი, მაშასადამე, პოლიციური, წესიერება ადამიანთა გაყუჩებისა, როდესაც ტყავს გაძრობენ, წესიერება წამებისა ციხეში, როდესაც ნება არა გაქვს ხმა ამოიღო, წესიერება უარ-მყოფელი ქუჩაში გამოსვლისა და თავის საზოგადოებრივ გრძნობათა და პროტესტთა გამოხატვისა ავაზაკთა წინააღმდეგ, როდესაც ადამიანთა ერთი ჯგუფი მთელ საზოგადოებას ანადგურებს, — აი კანონიერი წესიერება, რომლის დამცველიც არის კანონი.

ის წესიერებ კი, ან განზრახვა იმგვარ წესიერების დამკვიდრებისა, როდესაც ადამიანთა გრძნობანი და ენერგიანი თავისუფლად იქმნებიან შეთანხმებულნი, — განზრახვა კომმუნისტურ წესიერების დამყარებისა, — განხილულია როგორც დანაშაული და დაისჯების კანონის ძალით, ე. ი. ცეცხლითა და მახვილით, ციხით და სახრჩობელათი.

თავისუფლების დაცვა?

დიახ, ექსპლოატაცია, კაცის კვლი-

სა და ციხეში წამების თავისუფლების დაცვა გაუხდია კანონს მიზნად.

ერთი, გაბატონებულ ჯგუფის ყოველნაირი თავისუფლება აქვს აღიარებული კანონს, წინაალმდეგი კი, თავისუფლება ხალხისა იმოქმედოს დესპოტთა წინაალმდეგ, — განხილულია როგორც „დანაშაული“.

აქაც იგი თვით არის წყარო დანაშაულისა, და მაშასადამე ანტისოციალური მოვლენა.

თვით საფუძველი კანონისა ამგვარი სოციალური ორგანიზაცია, რომელიც ერთის მეორეზედ ბატონობით, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციით დახასიათდება, თვით შინაარსი კანონისა მონობისა და ძარცვა-გლეჯის განმტკიცებაა, მისი მიზანი მხოლოდ ადამიანის დასჯა და წამებაა, როდესაც ადამიანი არღვევს იმას, რისიც დაურღვევლობა შეუძლებელია, და ამიტომ არის კანონი სოციალური აბსურდი, ანტისოციალური მოვლენა. კანონს არ შეუძლია არ დაჰბადოს დანაშაული თავისი შინაარსითა და თავის მოქმედებით.

ორნაირ დანაშაულს წარმოშობს კანონი: ერთს ნამდვილს, რამდენადაც თვით არის ადამიანის მძარცველი და დამმონებელი, მეორეს ფიქტიურს, თავის მიერვე განსაზღვრულს,—დანაშაულს, რომელიც განისაზღვრების, როგორც მოქმედება ადამიანისა კანონით დასჯილი. — რამდენადაც იგი ადამიანს თავისუფალ მოქმედებას უკრძალავს, უფარგლავს თავისუფალ მოქმედების ასპარეზს და შემდე თვითონვე ახრჩობს მას თავის მიერვე დაგებულ ბადეში—რატომ გაჰბედე და ჩემს წინაალმდეგ იმოქმედეო, თუმცა ძლიერ კარგად იცის, რომ ადამიანს არ შეუძლია არ იმოქმედოს სხვანაირად, რადგანაც იგი სრულიად გარემოცულია კანონით.

მოსპეთ კანონი—მოისპობა დანაშაულიც. წინაალმდეგ შემთხვევაში—„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“:

მაგრამ შეიძლება მკითხონ: მართალია, რომ თანამედროვე კლასსიურ საზოგადოებაში კანონი მონობაა და ძარცვა-გლეჯა-წამების განმტკიცება; როდესაც კი კლასსები მოისპობა, მაშინ ხომ კანონი მთელ მწარმოებელ საზოგადოებას დაიცავს? მაშ როგორ შეიძლება ასე აბსოლიუტურად კანონის უარ-ყოფა? გარდა ამისა, როგორ შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრება უკანონოდ, ე. ი. თუ საერთო სურვილთა და მოქმედებათა გამომხატველი ნორმები არ იქმნენ?

ამაზედ შემდეგ.

Bâton'.

---

## დიალექტიკური მეთოდი

—

ნუ თუ მართალია ის, რომ კაცობრიობამ არ იცოდა ან დიალექტიკური მეთოდი, ან მეტ-ფასი? ვიკოს, ვოლნეის და ენციკლოპედისტებს, ავგუსტინ-ტიერს, ბოკლს, ა. ბლანკს, კეტლეს და ბევრ სხვას არ ჰქონდათ ცოტაოდენი მაინც წარმოდგენა ისტორიასა და კაცობრიობაზე ეკონომიურ ფაქტორის გავლენისა? ტ. როჯერსი არ იყო ის, რომელმაც დასწერა თავისი დიდი თხზულება: **მუშაობა და ქირა ექვსის საუკუნისა** და გამოაქვეყნა თავისი წიგნი: **ეკონომიური ახსნა ისტორიისა,** როგორც რეზიუმე? თუ ჭეშმარიტება, რომელსაც დამოუკიდებელი კაცები ეძიებენ, თუ მეცნიერება მოაზრეთა, რომლებიც არ ესწრაფვოდნენ არც დიქტატურას, არც პაპიზმს, თუ ეს მეცნიერება მარქსის და ენგელსის სცენაზე გამოჩენამდე ნამდვილად არსებობდნენ, რა უნდა ვუწოდოთ მაშინ მოყვანილ ციტატების ავტორებს? ყველა ამ ბებელებს, ბერნშტეინებს, კაუცკებს, პლეხანოვებს, ენგელსებს და სხვ., ზემოთ მოყვანილი ადგილები უბრალო უვიცობით დასწერეს, თუ ისეთ მამოძრავებელთა გავლენის ქვეშ, რომლებიც სრულიად არ შეეხებიან მეცნიერულ კვლევას?

***

ზევით მოყვანილ ციტატებიდან ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობა დავალებულია მარქსის და იმის მეგობრის ენგელსისაგან:

1⁰ დიალექტიკურ მეთოდის მოხმარებით სოციოლოგიურ კვლევაში;

2⁰ მეტ-ფასის აღმოჩენით, რომელიც მანამ არ იცოდა მეცნიერებამ;

3⁰ ისტორიის მატერიალისტურ ახსნით;

4⁰ და თანხის კონცეტრაციის კანონით, **„ექსპროპრიაცია მრავალ რიცხვოვან კაპიტალისტების მცირე რიცხვოვანთა მიერ“** (იხ. კაპიტ. გვ. 342), როგორც შენობის გვირგვინით.

უწინარეს ყოვლისა, ბოდიშს ვიხდი მუშების წინაშე, განსაკუთრებით სოციალისტ-ინტერნაციონალისტების წინაშე იმ უნებურ და ცოტათ მიმზიდველ ექსკურსიისთვის ლეგენდებს და ეგრედ წოდებულ „მეცნიერულ“ პრეტენზიების სამეფოში. მაგრამ [illegible] გვეუფლება ჩვენ. როდესაც მეცნიერულ სოციალიზმის სახელით დღეს ქადაგობენ თაყვანებას ყოვლად შემძლე სახელმწიფოს ავტორიტეტისას, წესისას, დისციპლინისას, დაქვემდებარებისას და სხვა თვისებათა, რომლებიც ყაზარმაში არიან მიღებული; როდესაც სასაცილოდ ხდიან ემანსიპაციის, განთავისუფლების და თანაზიარობის (СОЛИДАРНОСТЬ) იდეას უტოპიის სახელით და როდესაც გამოჩენა ჰუმმანიტარულ და სოციალურ იდეებისა დასახულია უვიცობათ, მაშინ საჭიროა მივცეთ თავის თავს ანგარიში და ვეძიოთ სად არის ჭეშმარიტება.

***

მეცნიერება, ის დიდი მეცნიერება ნატურალისტებისა თავის ევოლიუციის სისტემით, ტრანსფორმიზმით და მონისტურ მატერიალიზმით, რომელიც ძლიერ სძულს ენგელსს (თავის ბროშიურაში ლ. ფეიერბახზე ენგელსი საბუნების-მეტყველო მეცნიერების მატერიალიზმს უწოდებს „ვულგარულს“ შედარებით თავის მატერიალიზმთან) და რომელიც შეჰქმნეს და განავითარეს ინდუქციურ მეთოდით და ყველა დიდი მეცნიერულ გონების პატრონები გვერდს უვლიდნენ და უარჰყოფდნენ დიალექტიკურ მეთოდს. მე ვიწვევ სოციალ-დემოკრატებს, დამისახელონ თუნდ ერთი მეცნიერი ჩვენ საუკუნეში ისეთი, რომელსაც თავის მეცნიერულ კვლევაში ეხმაროს დიალექტიკური მეთოდი, უკანასკნელ შეითხვევაში გარდა გერმანულ მეტაფიზიკისა. ნუ თუ ლამარკმა ჟოფრუა-’სენტ-ჰილერმა, ლიელმა, დარვინმა, ჰეკკელმა, ჰელმჰოლცმა, ჰექსლიმ და სხვებმა შეიმუშავეს დიდი ევოლიუციონისტური ფილოსოფია დიალექტიკურ მეთოდის საშუალებით?

კეტლემ და ჯონ. სტ. მილლმა, მორგანმა და ბოკლმა, მენმა და ტაილორმა, ჰ. სპენსერმა, იუგომ და ბენმა თავიანთ ზოგად აზრებს სოციოლოგიასა, ლოგიკასა, ეთიკასა და თანამედროვე ფილოსოფიაში სხვა გზით მიაღწიეს და არა ინდიქტიურ და დედუქტიურ მეთოდით? ვინც ცოტათი მაინც იცის თანამედროვე მეცნიერების განვითარების ისტორია, უნდა იცოდეს, რომ ყველა დიდ გონების პატრონებმა გვერდი აუარეს დიალექტიკურ მეთოდს.

„ამ ფილოსოფოსების (მეტაფიზიკო-

სების) დიალექტიკურ განზოგადოების მეთოდი,—ამბობს პროფესსორი ვუნდტი (ვ. ვუნდტი: „ჩვენი საუკუნის ფილოსოფიის და ცხოვრების ურთიერთობა“, წარმოთქმული ლეიპციგის უნივერსიტეტში, 1889. ჩვენ მოგვყავს რუსულ თარგმანიდან)—რომელზედაც ამყარებენ თავიანთ დოქტრინის უცდომელობას, ჩვენ გვეჩვენება ხელოვნურ, საზიზღარ და ყოველგვარ აზრების დამმახინჯებელ ნაჭუჭად.“ მეორე ავტორიტეტი, გერმანისა და კაცობრიობის ნამდვილი სახელოვნება, გიოტე, არ იყო აგრეთვე მომხრე იმ მეთოდისა, რომელიც ასე ძვირფასი იყო ენგელსისა და იმის მოწაფეებისთვის (იხილე Conversations d' Eckermeun, 3-e partiè).

ცხადია, რომ გიოტეს მეცნიერული გონება ვერ ურიგდებოდა იმ სახელოვან მეთოდს, რომლის საშუალებით წალმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით არიან დამტკიცებული. იმას შეგნებული ჰქონდა, რომ კვლევისთვის მხოლოდ ერთი მეთოდია: მეცნიერული მეთოდი.

როდესაც ჰიპოტეზა შედგენილია, მაშინ ის შესწორებულია ინდუქტიურ მეთოდით და შეიქმნება თეორიად, როდესაც ინდუქციით დამყარებულ ურთიერთობათა რაციონალური მიზეზი დამტკიცდება დედუქტიურ მეთოდით.

მეტის მეტი ისაა, რომ ეს მეთოდი მსჯელობისა არ ახალია, ძველია! სადღაც ერთ ადგილას ენგელსი თვითონ ამბობს, რომ დეკარტი და სპინოზა, რუსსო და დიდრო და ჰეგელის თანამედროვე შარლ ფური, **საკვირველ კარგათ** ხმარობდნენ ამ მეთოდსო. ყველა ამ ფილოსოფოსებმა განსაკუთრებით უკანასკნელმა, შესწირეს თავიანთი შრომა სოციალურ ფილოსოფიასა და სოციალიზმს. მაშასადამე, როგორ მოხდა, რომ მარქსის, ენგელსის და გერმანელ მუშის დიეტცგენის მიერ ის ხელ ახლა იქმნა აღმოჩენილი?

აუხსნან ეს მეცნიერულ სოციალიზმის დეპუტატებმა, ფილოსოფოსებმა და პუბლიცისტებმა უვიცებს....

ვ. ჩერქეზიშვილი

---

## ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა

(გაგრძელება)

როტბერტუსი მარქსსა და ენგელსზე ადრე და, თუ უკეთესად არა, მათზე არა ნაკლებად ხედავს მნიშვნელობას ეკონომიურ ნიადაგისას; ადოლფ ვაგნერის სიტყვით, როტბერტუსის „კაპიტალი“ („Le Capital“) რიკარდოს ნაწერებთან ერთად არის მეტად მნიშვნელოვანი მთელ ეკონომიურ ლიტერატურაში, რომელიც შეეხება გაწესრიგების, განაწილების პრობლემას.

სმიტ-რიკარდოსა და მარქს-ენგელსს შუა განსხვავება იმაშია, რომ, პირველების აზრით, კაპიტალისტური ხანა საბოლოვოა და უკანასკნელების აზრით კი—არა: მარქსმა კაცობრიობის ისტორია სამ ეპოქად დაჰყო (არ იქნა და არა, კაცობრიობამ ვერ მოიშორა თავიდან სამება და ერთ არსება): 1, პირველყოფილი და ფეოდალური; 2, კაპიტალისტური და 3, სოციალისტური (მომავალი საზოგადოება). მეორე ეპოქა თავის დასაწყისში დახასიათებულია შრომის და თანხის შეერთებით ერთისა და იმავე პირის ხელში, ჯერ კიდევ წვრილი წარმოება არის მწარმოებელი და საწარმოვო იარაღი არ არის დაშორებული, მაგრამ შემდეგ რამდენადაც კაპიტალისტური განვითარება წინ მიდის, იმდენად კაპიტალსა და შრომას შუა ანტაგონიზმი იზრდება, მწარმოებელი და საწარმოვო იარაღები ერთი მეორეს შორდებიან, უწინ არ არიან დიალექტიკურ უკუღმართობაში, შემდეგ კი. უკანასკნელ ხანაში საწარმოვო იარაღები განსაზოგადოვებული იქმნებიან, რაიც იქმნება შედეგი დღევანდელ საზოგადოებრივ წარმოებისა.

როგორ შეიძლება იარაღების განსაზოგადობრივობა სახელმწიფოში და სახელმწიფოის საშუალებით, ჩვენ ეს ვერ შეგვიგნია, მაგრამ ამის თაობაზე სხვა ადგილას ვილაპარაკებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსის თანამედროვე ლიტერატურა სავსე და გაჟღენთილი იყო იმ აზრებით, რომელსაც გერმანელი გამოჩენილი „ტყუპები“ ისაკუთრებენ, მათი პრეტენზია ძლიერ შორს მიდის. მარქსის სიტყვით, ფორმა ღირებულობისა (ერთი ამიხსნან მარქსიზმის მემკვიდრეებმა: რას ჰქვია ღირებულობა?), რომელსაც თავისი მზამზარეული გამოხატულება ფულის ფორმაში აქვს, სავსებით უშინაარსოა და სადა. „მაგრამ კაცობრიული გონება ტყუილად ცდილობდა გამოეკვლია ის ორი ათას წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც ბევრად უფრო რთული და შინაარსიან ფორმების ანალიზი დაახლოვებით ნაყოფიერი იყო“. იმის სიტყვითვე, ეკონომიურ ფორმების ანალიზის დროს ვერ გამოგვადგება ვერც მიკროსკოპი და ვერც ქიმიური რეაქტივები. ამ შემთხვევაში ერთსაც და მეორესაც აბსტრაქციის ძალა უნდა შეეწ[illegible]ს. მართალი მოგახსენოთ, რაღაც მეტის მეტი მეცნიერული მეთოდი უნდა იყოს ამნაერი მეთოდი, რადგან არავინ მეცნიერებაში მას არ ხმარობს და, მაშასადამე, ან ყველა მეცნიერი, მარქსს და ენგელსს გარდა, აბსურდისტები ყოფილან და ან მარქსი და ენგელსი ყოფილან აბსურდისტები. ეს უკანასკნელი აზრი კი ხომ შეუძლებელია ისეთ ზე-კაცებზე, როგორიც მარქსი და ენგელსია; ამიტომ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ ყველა მეცნიერი უვიცია. მაგრამ ყველა მეცნიერები ყველა მეცნიერებაში ხმარობენ ჯერ ინდუქტიურ, ექსპერიმენტალურ მეთოდს და შემდეგ დედუქტიურს, ლოგიკურს

რიკარდოსთვის ინგლისის საზოგადოებრივი პირობები საფუძვლები იყვნენ იმის ეკონომიკო-პოლიტიკურ თეორიებისა,—მარქსისთვისაც ხალხების ისტორიულ ბედ-იღბლის გასათვალისწინებლათ ინგლისური პრიზმა გამხდარა: „მრეწველობის მხრით უფრო განვითარებული ქვეყანა უჩვენებს ნაკლებ განვითარებულებს სურათს მათის საკუთარ მომავლისას“. რიკარდო, ისე, როგორც მისი მასწავლებელი სმიტი, ღირებულების ზომას და წყაროს ხედავს შრომაში—მარქსიც ამგვარადვე ფიქრობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქედან რთული დასკვნები გამოჰყავს დიალექტიკის საშუალებით, რომელიც იმის მძლავრი პროტექციით ნამდვილი ისტორიული ბებია-ქალი გამხდარა; დიალექტიკის საშუალებითვე ხსნის ეკონომიურ კანონებს, რაიც ძლიერ მოგვაგონებს იურისტების-მიერ კანონების ადვოკატურ ახსნას.

რიკარდო წმინდა მათემატიკურ ლოღიკით სარგებლობს—მარქსი-კი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აცხადებს იმის კანონების დიდ მნიშვნელოვანებას, თავის სიტყვა-მრავლიაონობაში და დიალექიტკურ იკლიკანტურობის და хитросвлешеніе-ს საშუალებით ღუპავს საბუთებს და ფაქტებს პრინციპების მორევში, როგორც პურის მარცვალს მთელ ტომარა ფქვილში. ამასთანავე ცდილობს დაამციროს თავისი მოწინააღმდეგე ან მოწინავე შხამიან, გესლით სავსე დაცინვებით; თუ ამ საშუალებამ არ გასჭრა, მაშინ სულ უყურადღებოთ სტოვებს და არც-კი მოიხსენიებს მათ, ვითომ არც-კი არსებულიყვნენ ქვეყანაზე, ამისთანა საშუალებას იმათზე ხმა-

რობს, ვისთანაც უფრო სოლიდარობა-ში უნდა ყოფილიყო. ხშირად ერთ ბეწვს, რომელიც მას და მის ან მოწინაალმდეგეს აშორებს ერთმანეთს, გადააქცევს ჩინეთის კედლათ. ესეც ერთნაირი ღირებულობის თეორია არის: ხაზოგადოთ ფიქრობენ, რომ თუ გვინდა თვით დიდი გავხდეთ, სხვა კოლოებათ უნდა დავსახოთო.

მარქსი პირველად პრუდონის მეგობარი იყო, შემდეგ მოსისხლე მტერი. პრუდონმა ისტორიაში „ეკონომიური წინააღმდეგობანი“ და კერძო საკუთრებაში ქურდობა დაინახა და დასწერა, —მარქსმა ჯერ გააქარწყლა და ფასი დაუკარგა ყველა ამას პრუდონის ხელში, შემდეგ ამისა დიდი ფასი და მნიშვნელობა მისცა თავის თვალში; პრუდონმა „სიღატაკის ფილოსოფია“ დასწერა—მარქსმა-კი ეს ,,ფილოსოფიის სიღატაკედ'' დასახა და შემდეგ ამისა თვითონ შექმნა კონცენტრაციის, პროლეტარიზაციის თეორია, ,,სიღატაკის თეორია''. ვ. კონსიდერანმა ,,კომმუნისტური მანიფესტი'' დასწერა—მარქსმა და ენგელსმა ეს გადმოსწერეს, კონსიდერანი-კი ჩაილულის წყალს გაატანეს. შტეინმა კლასსობრივი ბრძოლა დასწერა—მარქსმა და ენგელსმა მიითვისეს.

ერთი სიტყვით მე-XVIII და XIX საუკუნის პირველ მეოთხედის ლიტერატურა გაჟღენთილი იყო ყველა იმ აზრებით, რაც-კი აწერია მარქსსა და ენგელსს.

მაშასადამე, ამ ორ ტყუპს არ გამოუგონიათ არც მეტ-ფასი, არც ეკონომიური მონიზმი ანუ ეგრედწოდებული მატერიალისტური კონტეპცია ისტორიისა, არც სამშობლო თეორია ღირებულობისა, არც დიალექტიკური მეთოდი, არც ექსპლოატაციის თეორია, არც კლასთა ბრძოლა, არც სიღატაკის თეორია და არც ისტორიული ფატალიზმი. მომავალი სამართლიან მსჯავრს დასდებს მათ ღვაწლს, ისე, როგორც დასდო ქრისტიანიზმს, სქოლასტიკას და სქოლასტიკურ რეალიზმს კრიტიკამ და აზრების, ამორჩენათა ყველა კერძო მესაკუთრეს თავის ადგილს მიუჩნევს გონებრივ და სოციალურ განვითარების ისტორიაში,

მიუხედავად ყველა ამისა, უმცროსი მარქსისტები გაიძახიან, რომ მარქსმა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში უკანასკნელი სიტყვა სთქვაო. კაუცკი „Aqrarfraqe“-ის წინასიტყვაობაში ამბობს, „როდესაც სოციალიზმის შესწავლა დავიწყე, ჩემი სიმპატია სრულებით მარქსიზმს არ ეკუთვნოდა. მე ვხვდებოდი მას კრიტიკის და ეჭვების არა მცირედის საგზლით, ვინემ რომელიმე იმათგანი, რომლებიც ეხლა [illegible] სცნობენ ლაპარაკს ჩემს [illegible] ერთგულებაზე დოგმატებისადმი. უწინაალმდეგობოდ არ გავმხდარვარ მარქსისტად. მაგრამ, როგორც მაშინ, ისე შემდეგაც, ყოველთვის, როდესაც რომელიმე ძირითად კითხვაზე ეჭვი დამებადებოდა, ბოლოს და ბოლოს ვხედავდი, რომ ბრალი ჩემში იყო და არა ჩემს მასწავლებლებში, რომ საკითხის ღრმად გარჩევის შემდეგ, მე უნდა მეცნო იმათ მხედველობის წერტილის სისწორე... ყველა ახალი ცდა, ყველა ახალი მეცადინეობა აზრთა გადასინჯვაში მხოლოდ ადიდებდა ჩემ დარწმუნებას, ამძლავრებდა ჩემში მიმხრეობას იმ მოძღვრებისადმი, რომლის გავრცელება და მოხმარება შეიქმნა ჩემი სიცოცხლის მიზნათ“.

ასე რომ კაუცკის ძლიერ ბევრჯერ აეძრა ეჭვი მარქსის აზრების თაობაზე, მაგრამ ეს ეჭვები ყოველთვის ტყუილი გამოდგა და მარქსი-კი ყოველთვის მეცნიერი (როგორც სჩანს, კაუცკი ნამდვილი ქრისტიანია, **человѣкъ въ наукѣ съ христіанскимъ самоотрѣченіемъ, смиреніемъ, самоуниженіемъ,** კარგი მეთოდია, მეტი რა გინდათ!)

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## შ ე ხ ვ ე დ რ ა

(კ. ორ—ანიდან)

გუშინ შევხვდი ერთს და ეს შეხვედრა იყო საშინელი, გულის მომკვლელი, რომლისგანაც აქამდე ვერ გამოვფხიზლებულვარ. მკითხველმა, შესაძლებელია, იფიქროს, რომ მე შევხვდი „ჭეშმარიტ რუსთა“ ან ხულიგანთა გროვას, სრულიადაც არა. შევხდი... ოდესმე გურულის სახელის მატარებელ გლეხს და ეს შეხვედრა კაზაკების შეხვედრაზე უარესი იყო. არასოდეს არ მიგრძვნია ასეთი უსიამოვნება, როგორც ამ, სრულიად უწყინარ, დაჩაგრულ, თითქმის მიწასთან გასწორებულ, კაცის დანახვაზე ვიგრძენი· მაგრამ ჯერ ვიტყვი როგორ შევხვდი იმას. საღამო ჟამი იყო. მოვდიოდი და ვფიქრობდი რეაქციაზე, გრაფ ვიტტეზე, დურნოვოზე და სხვა მაგისთანა არა სასიამოვნო რამეებზე. ქუჩაზე კაცის ჭაჭანება არ იყო. ნელად მოვდიოდი, ხანდახან ხელს ჩავიქნევდი, თითქო მინდოდა განვთავისუფლებულიყავ ჩემის სამწუხარო ფიქრებისაგან: რეაქცია, ვიტტე, დურნოვო. შევუხვიე პაწაწა ვიწრო ქუჩაზე და დავინახე ვიღაც კაცი, რომელიც ჩემკენ მოდიოდა. დავაკვირდი. ძონძები ეცვა, ჭუჭყიანი იყო. თმაწვერ-ულვაში გაბურძგნული ჰქონდა. კისერზე ჩამოდებული ჭუჭყიანი ძონძი ყაბალახის მაგიერობას უწევდა. თავჩაქინდრული მოდიოდა, ხანდახან ქვეშ-ქვეშ გამოიხედავდა, წელში მოკაკვულიყო, თითქო ხალხისა და სინათლისა ეშინოდა.

როცა მივუახლოვდი, მომეჩვენა, რომ თავისთვის ლაპარაკობდა.

— შეშლილია—გავიფიქრე, მაგრამ იმის ლაპარაკს მაინც ყური დავუგდე.

გარკვევით მომესმა შემდეგი სიტყვები:

„გასწი! მიდიხარ უფსკრულისაკენ, გასწი! მეც შენ მოგყვები“!..

ამ უჩვეულებრივო სიტყვების წარმომთქმელ ადამიანის ხმაში რაღაც მისტიური რწმენა ისმოდა. უნებურად შევჩერდი. მგზავრმა შემომხედა, მეც დავინახე იმისი გამოხედვა, იმისი თვალები, სავსე მწუხარებით, ვაებით, შიშითა და განწირულებით; იმისი თვალები გაქვავებულ მწუხარებათა და ცრემლად მომეჩვენა. კიდევ უფრო ყურადღებით დავაკვირდი და შევნიშნე, რომ ტანჯვის გამომეტყველ თვალების სიღრმეში შავბედითი ცეცხლის ნაპერწკალი დასცურავდა.

,,გასწი! მიდიხარ უფსკრულისაკენ; გასწი,—მეც შენ მოგყვები''!... კიდევ წარმოსთქვა იმან ღრმად მორწმუნეს კილოთი. მივუახლოვდი და ლმობიერის ხმით ვკითხე:

— თქვენ სადაური ხართ?

პასუხი მაშინვე არ მომცა. დაფიქრდა, კარგად ამათვალიერა და გურულის კილოთი წყნარად მომიგო:

— წინად გურული ვიყავი, მაგრამ ეხლა არსადაურიც არა ვარ.

— როგორ თუ არსადაური? გავიკვირვე მე·

— დიახ, აგრეა, არსადაური. უწინ სახლი მქონდა, მყავდა ცოლი, შვილი, მქონდა დალხინება და გასაჭირი, ჩემსა და სიცოცხლეს შუა ერთობის ძაფი გაუწყვეტილი იყო; მერე დადგა ,,გა-

რადგან ამისთანა დასკვნა კაუცკიმ პირადის გამოცდილებით გამოიტანა, ამიტომ მეტია მარქსიზმის ძირითად საფუძვლების კრიტიკა. რადგან მისთვის, მარქსიზმის მთავარ ანგელოზისთვის, ასეა, ამიტომ ყველა უბრალო გინდ ბრალიან ანგელოზებისთვის და უბრალო მომაკვდავთათვის ასე უნდა იყოს.

ამას იქით ჩვენ ვეცდებით ჯერ მოვიყვანოთ სხვადასხვა განსაზღვრა ეკონომიურ მონიზმისა და შემდეგ ფეხდაფეხ მივჰყვეთ და გავარჩიოთ უფროს და უმცროს მარქსისტების ყველა მთავარი აზრები, რომლებიც შეეხებიან გასარჩევ საკითხს.

შ. გ.

## მუშათა მოძრაობა

### საფრანგეთი

**პარიზი.** ექვსი ათასი ოქრომჭედლები მუშები გაიფიცა.

**ლანსი.** არეულობის შესახებ გამოძიება დასრულდა. ბრძანება გასცეს 30 კაცის დაჭერის შესახებ, ჯერჯერობით დაიჭირეს მხოლოდ ისინი ვინც მონაწილეობას იღებდა.

**პარიზი.** ასოთ-ამწყობთა გაფიცვა უფრო გაძლიერდა, რადგან მათ ბევრი მუშები შეუერთდნენ ქაღალდის ფაბრიკებიდან.

**ლორეინი,** (საფრანგეთი). დღეს სხვა და სხვა ადგილებში არეულობა მოხდა. გაფიცულები ბარიკადებს მართავენ და ავლებენ მავთულების ღობეს, რომელსაც ძლივ-ძლივობით იღებენ კავალერისტები. შეტაკების დროს გაფიცულს ხმლით გაუჩეხეს თავი.

**პარიზი.** 4000 სტამბის მომუშავემ გადაწყვიტა გაფიცვა დაიწყოს.

**ლილი.** (საფრანგეთი) შეტაკება მოხდა დრაგუნებსა და გაფიცულ მუშებს შორის. ერთი დრაგუნი სასიკვდილოდ დასჭრეს, დანარჩენი ორი სადღაც გაჰქრა. ეშინიანთ ახალ არეულობებისა.

**ლანსი.** დაბა ტარიტში შეტაკება მოხდა 7 ათას გაფიცულთა და ჯარს შორის. მუშებში დაიჭრა 40-მდე, ზოგიერთი მძიმედ. სხვაგანაც მოხდა შეტაკება.

**ნანსი** (საფრანგეთი). ჩრდილოეთის დეპარტამენტისაკენ დიდ-ძალი ჯარი გაიგზავნა.

### რუსეთი

**ახალი კანონი მუშების წინააღმდეგ.** 5 აპრილს სახელმწიფო საბჭოში განიხილეს იუსტიციის მინისტრის პროექტი სოფლის მუშების გაფიცვის წინააღმდეგ. პროქტის აზრით, სოფლის მუშები გაფიცვისთვის უნდა ისჯებოდნენ: ვინც სოფლის მუშებს ჩააგონებს, თავი დაანებეთ მუშაობას დაქირავების ვადის გასვლამდისო, ის 3 თვიდან 6 თვემდე ციხეში იქნება ჩამწყვდეული. თუ სოფლის მუშა თავის ნებით ხელს აიღებს მუშაობაზე და სხვებსაც მოუწოდებს, ციხეში უნდა იქნას ჩამწყვდეული 3-დან 8 თვემდე.

## უ ც ხ ო ე თ ი

— 11 აპრილს ბრიუსელში გაიმართა დიდი მიტინგი; მიტინგს დაესწრო ოთხი ათასზედ მეტი კაცი. მიტინგმა დაადგინა: გამოეცხადოს თანაგრძნობა ქართველებს და პროტესტი მთავრობას იმ საშინელებათა გამო, რომელიც გამოამჟღავნა „ცნობის ფურცელმა“.

— ჟორესი თავის გაზეთში შემდეგს აზრს გამოსთქვამს: რუს მმართველთა ანგარიში, რომლითაც უნდათ ევროპაში მოაგროვონ 2 მილლიარდი, ადვილი გამოსაცნობია. ისინი კარგათ ხედავენ თავიანთ აღსასრულს. ამნაირად აბსოლიუტიზმს მოუხდება დიად სოციალურ მოძრაობასთან ბრძოლა. მთავრობა სცდილობს იშოვოს ფული და ამნაირად გაჰხადოს თავისთვის სახელმწიფო საბჭო ადვილად მოსაცილებელი, თუ ამას გარემოება მოითხოვს. მაგრამ

---

ზაფხული“, ყველაფერი აჰყვავდა, აჰყვავდა იმედი, იმედი უფრო უნაკლულო ცხოვრებისა, ყოველის მხრიდან დაიწყეს ლაპარაკი თავისუფლებასა, თანასწორობასა ɗ სიყვარულზე; გული ატოკდა, უფრო და უფრო დამიწყო ძგერა. აღტაცებამ, ხალხის ძლევა-მოსილობით გამოწვეულმა აღტაცებამ, გამიტაცა, ხალხი მონობის ჯაჭვს სწყვეტდა და მეც ჩავერიე ამ დიდებულ საერთო ფერხულში...

ვცხოვრობდი, თუმცა არა საუკუნეებით, ვცხოვრობდი პეპელასავით ბედნიერის ცხოვრებით, მაგრამ ყვავილიდან ყვავილზე კი არა, იმედიდან იმედზე გადავდიოდი. ვცხოვრობდი და ისე ვეწაფებოდი სიცოცხლეს, როგორც ფარვანა სინათლეს.

აქ შეჩერდა ჩემი მობაასე, თვალის კაკლები გაუფართოვდა და შავბედითი ცეცხლის ნაპერწკალი, რომელიც იმის ტანჯვის გამომხატველ თვალების სიღრმეში დასცურავდა, გარედ გამოვიდა და ყოველივე დანარჩენი დაჰფარა.

— მერე? ვკითხე მე.

— მერე?—მერე „გაზაფხული“ სასტიკმა „ზამთარმა“ შესცვალა, მოვიდნენ... და აღარ შემრჩა აღარც სახლი, აღარც ცოლი, აღარც შვილები...

ხმა ჩაუწყდა, ბრაზმორეული-ღა ხლიჩინებდა და თვალებში ზიზღმა, უსაზღვრო ზიზღმა გაუელვა.

— მერე? კიდევ შევეკითხე მე, მაგრამ ეხლა კი მთრთოლვარეს ხმით.

— მერე? როდესაც ჩემს გულში ყოველივე ამოსწვეს და ფერფლად აქციეს, „პროლეტარად“ ვიქეცი და წამოველ. ისიც წავიდა.

აქ-კი იმან სიბრაზით, ზიზღითა და ცეცხლის მფრქვეველ თვალებით მიიხედა თავის მტრის საბუდრისაკენ: ისიც წავიდა... მე იმას მივყვები, მივყვები, მივყვები კვალში,—გაიმეორა დაჟინებით.

— საით? გაკვირვებით ვკითხე.

— საითაც ჩემი ზიზღი და სიძულვილი მიმიწვევს —სთქვა მგზავრმა და ისევ მუქარის თვალით გაიხედა იქით, სითაც მტრის საბუდარი ეგულებოდა. სიძულვილი... მაგრამ... მინდოდა მეპასუხნა.

— რა, სიძულვილი, გამაწყვეტინა სიტყვა,— სიძულვილი — ეს ყოვლად მაღალი, პიატიოსანი გრძნობაა, თუ მდაბალ ინსტიქტებით არ ხელმძღვანელობს კაცი; სიძულვილი წმინდაა, ვითა რვალი და ძლიერია, ვით მკლავმაგარ გლეხის ნაჯახი. იმათ, ვინც ამბობს, რომ სიყვარული სიძულვილს არ წარმოშობსო, მე ვუპასუხებ: ძლიერი სიყვარული სიძულვილს წარმოშობს. ჩვენ მივდივართ სიყვარულის სამეფოს დასაარსებლად: გაუმარჯოს, სიძულვილს... და ისიც ასევე მიდის. გასწი! შენ მიდიხარ უფსკრულისაკენ, მეც შენ მოგყვები!

და „აპროლეტარმა“ კვალად ავის მომასწავებელ ცეცხლის მფრქვევ თვალებით გაჰხედა მეორე მხარეს, იგი წელში გასწორდა და გაბედულის ნაბიჯით გაუდგა გზას.

განდეგილი.

## რევოლიუციონერი უმცირესობა

(პ. კროპ—ნისა).

„ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ, სრულიად სამართლიანია“, ხშირად გვიპასუხებენ ხოლმე ჩვენი მოწინააღმდე-

როგორ დაითხოვენ საბჭოს, თუ ფული ვერ იშოვეს?

**საფრანგეთი.** პარლამენტის სესსია გათავდა და მთავრობამ უკვე ხელი მოაწერა რუსეთის სესხის კონტრაქტს. უკიდურეს რადიკალების და სოციალისტების პროტესტმა უნაყოფოდ ჩაიარა, მთავრობამ და პარლამენტის და პრესის უმეტეობამ აშკარად დაუჭირა რუსეთის ბიუროკრატიას მხარი.

პალატის პრეზიდენტმა დუმერმა ხელი შეუშალა სოციალისტ ვალიანს თავისი აზრი გამოეთქვა სესხის შესახებ და შემდეგი ,,ბრძნული აზრი‘‘ წარმოსთქვა: ,,ჩვენ არ გვაქვს უფლება, მოკავშირე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩავერიოთო‘‘. მაგრამ საკითხია, განა რუსეთის მომაკვდავ წესწყობილებისთვის სესხის მიცემა ,,შინაურ საქმეებში‘‘ ჩარევა არ არის·?

მხოლოდ ხალხის რამდენმამე გულწრფელმა მეგობარმა აშკარად და ენერგიულად დაჰგმო ბურჟუაზიულ მთავრობის სამარცხვინო მოქმედება. მაგალითად, ჟორესი ეკამათება ნახევრათ ოფიციალურ გაზეთ „ტანს‘‘, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ საფრანგეთის ხალხი არ უნდა ჰყოფდეს ერთიმეორედან რუსეთის ერს და რუსეთის მთავრობას და ერთნაირი თანაგრძნობით უნდა უცქეროდეს ორივესო. ჟორესი სწერს: განა ჩვენ ვყოფთ ერთი მეორესგან რუსეთის ერს და რუსეთის მთავრობას?მთავრობამ თითონ გამოჰყო თავისი თავი და იგი საბოლოოთ დაუპირდაპირდა ხალხს მით, რომ ვერაგობითა და ძალმომრეობით წაართვა ის ელემენტარული უფლებებიც კი, რომელიც ხალხმა მოიპოვა ხანგრძლივის ბრძოლით. მთავრობას ახლო მომავალში დიდი შეტაკება მოელის ხალხთან და ამისთვის მას ფული სჭირია. და ამიტომ ყველა ის, ვინც ხელს მოაწერს ამ სესხს, ამით აშკარათ ძალ-მომრეობის და ტირანიის აგენტობას კისრულობს. მათ ვნება მოაქვთ რუსეთისთვის, რომელსაც მხოლოდ თავისუფლება იხსნის; მათ ვნება მოაქვთ საფრანგეთისავისაც, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლია რუსეთთან დაკავშირება, როცა ის ძველი რეჟიმის ბრჭყალებიდან განთავისუფლდება‘‘.

**პარიზი.** სოციალისტების აფიშები რუსეთის სესხის წინაღმდეგ იგზავნება ფოსტით, ცირკულიარების სახით. კომპანიის გამარჯვება საეჭვოა. ბანკირთა სინდიკატების წარმომადგენელებმა უთხრეს ჩვენს კორესპოდენტს, რომ სესხი რამდენჯერმე იქნება დაფარულიო.

**პარიზი.** 15 მარტს ყოფილ პრეზიდენტ ლუბეს ფანჯარაზე აღმოაჩინეს მონტელიმარში ძლიერ საშიში კონსტრუქციის ბომბა. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტრო ამოწმებს ამ ცნობას, რომელიც დღემდე არ გამოაქვეყნეს იმიტომ, რომ ეს ხელს შეუშლიდა დამნაშავის აღმოჩენას.

**პარიზი.** ასამდე მუშა მალიარებმა განაცხადეს, უკეთუ ჩვენს მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთ, 18 აპრილიდან გავიფიცებითო.

**მარსელი.** 1250-მდე სტამბაში მომუშავეებმა გაფიცვა გადასწყვიტეს.

---

## რუსეთის ცხოვრებიდან.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა, როგორც გაზ. „პუტ“-ი გადმოგვცემს, სასტიკი განკარგულება მოახდინა, ყოველი ღონისძიება იყოს მიღებული უმცროს ჯარის-კაცის აბრამ დრუსკერის მოსაძებნად, რომელმაც სამხედრო იარაღის საწყობიდან რაღაც მანქანებით 60 ახილი სისტემის **ვინტოვკა გაიტაცა.**

— გაზ. „დვადც. ვეკ“ ვლადიკავკაზიდან ატყობინებენ: სადგურ „ნესტოროვსკის“ მახლობლად 5 აპრილს კაზაკებმა მოჰკლეს 4 ინგუში. უკანასკნელნი შე-

---

ნი. „თქვენი იდეალი ანარქიულ კომუნიზმისა მშვენიერია და იმის განხორციელება მართლაც ბედნიერებასა და მშვიდობას დაამყარებდა ქვეყნად. მაგრამ როგორ ცოტაა ამის მსურველთა რიცხვი! როგორ ცოტაა ამის შემგნებთა რიცხვი, როგორ ცოტაა ისეთნი, რომელთაც ჰყოფნიდეთ საქმის ერთგულება, რომ იმუშაონ იმ·ს მისაღწევად! თქვენ,—არც მეტი, არც ნაკლები, უმნიშვნელო რიცხვი, უგრძნობელ მასსაში აქა-იქ გაფანტული სუსტი ჯგუფი ხართ, თქვენსწინ-კი ძლიერი მტერი სდგას, კარგად მოწყობილი, არმიის მყოლე, შეიარაღებული კაპიტალით, განათლებით. თქვენ საძნელო ბრძოლას შეუდექით‘‘. ყოველთვის გვესმის ეს პასუხი ზოგიერთ მოწინააღმდეგეთაგან, და ხშირად მეგობართაგანაც. ვნახოთ რამდენად სამართლიანია ესა.

რომ ანარქისტების ჯგუფი-—მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობაა შედარებით ათ მილიონთან, რომლითაც დასახლებულია საფრანგეთი, ისპანია, იტალია და გერმანია, ეს სრული სიმართლეა. ჯგუფები, რომელნიც რაიმე ახალს იდეას წარმოადგენენ, დასაწყისში ყოველთვის ცოტანი იყვნენ. ადვილად შესაძლებელია, რომ ფუტკრის გროვასავით ჩვენც ცოტა უმცირესობად დავრჩეთ თვით რევოლიუციის წამამდე. მაგრამ განა ეს საბუთია ჩვენს წინააღმდეგ? ამ წამში უმეტესობა ოპორტიუნისტები არიან, თანდათანობის მიმდევარნი და ნუ თუ ჩვენც უნდა ოპორტიუნისტები გავხდეთ? 1790 წლამდე საფრანგეთში უმრავლესობა მეფის მთავრობის მომხრე, ანა და კონსტიტუციონალისტები იყვნენ. მერე აქედან ის გამოდის, რომ იმ დროის რესპუბლიკელებს უარი უნდა ეთქვათ თავიანთ რესპუბლიკანურ იდეებისაგან და როიალისტები (მეფის მომხრეები) უნდა გამხდარიყვნენ იმ დროს, როცა საფრანგეთი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა მეფის მთავრობის გასაუქმებლად.

რომ რიცხვით ჩვენ უმცირესობას შევადგენთ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საკითხი ეს არ არის! საკითხი ის არის, ეთანახმება თუ არა ანარქისტულ კომუნიზმის იდეა, რომელსაც ჩვენ აღვიარებთ, იმ ევოლიუციას, განვითარებას, რაც ამჟამად ხდება ადამიანთა გონებაში, განსაკუთრებით ლათინთა რასაში? ამაში კი ეჭვი არ შეიძლება იყოს. გონების განვითარება სწარმოებს არა სახელმწიფოს უფლების გაძლიერების მიმართულებაში, არამედ უფრო თავისუფალ პიროვნებასა, მწარმოებელ და მომხმარებელ თავისუფალ თემებსა და ფედერაციებში. განვითარება მიმდინარეობს არა პირად, მიმართულების კერძო საკუთრების განკერძოებაში, არამედ საერთო წარმოებისა და გონიერების მიმართულებაში. დიდ ქალაქებში კომუნიზმს—სწორედ ანარქიულ კომუნიზმს—უკვე არც ერთი შეგნებული მუშა არ ებრძვის. ესევე იწყება სოფლებშიაც. საფრანგეთის რამდენისამე ადგილის გარდა, რომელნიც განსაკუთრებულს მდგომარეობაში იმყოფებიან, გლეხი ზოგგან იმ გზას დაადგა, რომ შრომის იარაღი საზოგადო საკუთრება იყოს. აი რისთვისაა, რომ ყოველთვის, როცა ჩვენ მდაბიო და გასაგების ენით გამოცდილებაზე დამყარებულის საბუთებით ველაპარაკებით იმათ, რასაც ჩვენ რევოლიუციაში ვგუ-

იარაღებას ეშურებიან და მოსალოდნელია შეტაკება. გაიგზავნა ბატალიონი და წავიდა გენერალ-გუბერნატორი.

— სტავროპოლიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ იარაღის საწყობიდან გაიტაცეს 10 **„ვინტოვკა„** და ოცი „შტიკი“. იარაღი იპოვეს ტყეში, მხოლოდ ვერავინ შეიპყრეს.

— ვარშავიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ: ლუდსკის ქუჩაზედ **მოჰკლეს აგენტი** (сыскнаго отдѣленія), მეორე აგენტი დაჭრილია. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. ვრონის ქუჩაზედ მუშების ოთახში, რომელშიაც იმ ჟამად არავინ ყოფილა, გასკდა ყუმბარა, რომელმაც სამი კარი გამოამტვრია. ხალხს არა დაშავებია.

— ვიტებსკიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ: ერთი სახლის საყინულეში ცენტრალურ ქუჩაზედ, არ იციან რა მიზეზით, გასკდა ყუმბარა. მძიმედ დაიჭრა მეეზოვე და პატარა ბავშვი. სასტიკმა გამოძიებამ ვერაფერი აღმოაჩინა.

— ხმები **გენ. ტრეპოვის** დანიშვნის შესახებ. ხმები დადის, რომ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორად გენერალი ტრეპოვი ინიშნება.

— **ორიოლი.** ხალიზენის სტამბის მმართველ ალექსინის ბინაზედ იპოვეს 7,000 ცალი რევოლიუციონური ბროშიურა, რომელსაც სათაურად აწერია: „ოინბაზური მექანიკა“. დაიჭირეს ექვსი დათხოვნილი სტუდენტი და გიმნაზისტი, რომელნიც ბროშიურებს ჰკინძავდნენ.

— **ბელოსტოკი.** დაბა გროდკაში ყუმბარა გადააგდეს. მძიმედ დაიჭრა თვით გადამგდები, როგორც ეტყობა, ფაბრიკის მუშა.

— **პორუჩიკ მიშჩენკოს საქმე.** „შრომის დარგის“ კრებაზედ საპიორთა პორუჩიკმა მიშჩენკომ წარმოსთქვა სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ, რის შემდეგაც მიშჩენკო დაიჭირეს და სამართალში მისცეს 129 მუხლის ძალით.

— **გულჩვილი გენერალი.** ვარშავიდან იტყობინებიან, გენ. სკალონს სუყველასთვის, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი, ჩამოხრჩობა დახვრეტაზედ შეუცვლია. ასეთი წყალობა იმით აიხსნება, რომ თითო ჩამოხრჩობაზედ ჯალათს 75 მ. აძლევენ, სალდათებს კი დახვრეტისათვის არაფერი ეძლევათო.

— „რეჩს“ ატყობინებენ ვარშავიდან: ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი **როზა ლიუქსენბურგი** ვარშავის ციხეში გადაიყვანეს გაძლიერებულ კანვოით. იმას 102 სტატიაში აღნიშნულ დანაშაულს აბრალებენ. ჟანდარმებს უნდათ სამხედრო დროის წესით იყოს განსამართლებული.

— 3 აპრილს მოსკოვში საპოლიციო სადგომიდგან **გაქცეულა** პოლიტიკური პატიმარი პეტრე კამიშევი. 2 აპრილს ამავე ქალაქში სუშჩევის საპოლიციო სადგომიდან გაქცეულა 13 პატიმარი, ამათში 5 პოლიტიკურია. ესენი გაქცეულან რკინის კეტის შემწეობით, რომლითაც კედელი გამოუმტვრევიათ ფანჯრის ქვემოდ.

**ბელოსტოკი.** შტიულმანის საქსოვ ფაბრიკაში მეხუთე დღეა გაფიცვაა. მუშების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. სხვა ფაბრიკებში მუშები ალყაშემორტყმულნი არიან. ჯარი გამოიწვიეს.

პარიზელები ძლიერ შიშში არიან პირველ მაისის მოლოდინში. მიღებულია განსაკუთრებული ზომები. ქუჩებში დგანან ქვეითი და ცხენოსანი პოლიციელთა რაზმები.

**ბიუროკრატიულ წრეებში.** ვიტესა და დურნოვოს შორის ამტყდარ უთანხმოების შესახებ ახლა გარკვეული აზრი შესდგა. ,,ეგ სულ გრაფის ოინებიაო‘‘,—ამბობენ იმ ცრუ უთანხმოებაზე, რომლის შესახებ ჭორი ,,მგონი, თითონ გრაფმავე გაავრცელა, რომ კადეტების გული მოიგოს‘‘. ამ ხმებს ყველა დასცინის. ბიუროკრატები ამბობენ, ვიტე ყველაფერს ვერ მოაწყობსო.

---

ლისხმობთ, თანაგრძნობით გვეგებებიან როგორც მსხვილ საწარმოო ცენტრებსა, ისე სოფლებში.

სწორედ ესევე შეგვიძლია ვთქვათ ისპანიისა, აგრეთვე იტალიისა და გერმანიისა და ავსტრიის შესახებაც, იქ, სადაც მუშათათვის სრულიად ყალბი წარმოდგენა არ ჩაუგონებიათ ანარქიზმზე. ესევე იქნება რუსეთშიაც, როდესაც ანარქისტ-კომუნისტის სიტყვა გლეხთა და ქალაქის მუშათა შორის გაისმება.

და განა შესაძლებელია, სხვაგვარად. ანარქია და კომუნიზმი რომ ფილოსოფიურ გონების ნაყოფი იყოს, მსწავლულთაგან კაბინეთში შექმნილი, რასაკვირველია, ესენი თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდნენ, მაგრამ ეს იდეები თვით ხალხის გულში ჩაისახა. ესენი იმის გამომხატველნი არიან, რასაც ფიქრობს და ამბობს მუშა და გლეხი, როგორც კი ყოველ დღიურ ცხოვრებიდან მოიცლიან და უკეთეს ცხოვრებაზე დაიწყებენ ხოლმე ფიქრსა. ისინი არიან გამომხატველნი ხანდაზმით განვითარებისა, რაც მეცნიერთა გონებაში ხდებოდა და მთელის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ისინი ჰხატავენ ხალხის აზრს იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ახლო მომავალში მოხდება და რომელიც ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში მართლმსაჯულებასა, თანასწორობასა და ძმობას მოიტანს. ისინი ხალხში ჩაისახნენ და ხალხიც ეგებება მას ყოველთვის, როდესაც კი გასაგებად უხსნიან ამას.

სწორედ ამაშია ნამდვილი ძალა ანარქიზმისა და არა მომქმედთა, ჯგუფთა და მოკავშირეთა მომხრეობაში,—საკმაოდ გაბედულებში მოქმედებისათვის, თავგანწირულ და ყოველ იმის მომლოდინეში, რაც რევოლიუციას მოსდევს ხოლმე იმის მუშაკთათვის. ამათი რიცხვი, რასაკვირველია, ყოველდღე მატულობს, და კიდევ იმატებს, მაგრამ მხოლოდ ამბოხების წინად შეიქმნებიან უმრავლესობად, რაც ეხლა უმცირესობას წარმოადგენს.

***

ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი, ვინც რევოლიუციის წინად უმცირესობაში იყვნენ, რევოლიუციის დღეს უმთავრეს ძალას წარმოადგენენ, თუ ისინი არიან ნამდვილი გამომხატველნი ხალხის მისწრაფებათა, და თუ—ეს მეორე აუცილებელი პირობაა—რევოლიუცია გრძელდება დიდხანს, რომ რევოლიუციონურ იდეას შეეძლოს გავრცელდეს, და თვისი ნაყოფი მოიტანოს. მართლაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამბოხებას, რომელიც ერთ ან ორ დღეს გრძელდება, არ შეუძლია გარდაქმნას საზოგადოება ანარქიულ კომუნიზმის მიმართულების მომხრედ. ხანმოკლე ამბოხებას შეუძლია მხოლოდ დაამხოს ერთი მთავრობა და იმის ადგილას სხვა დააყენოს. იმას შეუძლია ბურჟუაზიული იმპერატორი ნაპოლეონი ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელ ჟულფავრით შესცვალოს, მაგრამ არ შეუძლია შეიტანოს რაიმე ცვლილება საზოგადო ძირითად დაწესებულებებში. რომ მოვახდინოთ რევოლიუცია საკუთრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ფორმაში, ჩვენ უნდა გავიაროთ მთელი სარევოლიუციო ხანა 3—4 წლის ან მეტის განმავლობაში. თუ საფრანგეთში ფეოდალურ წეს-წყობილე-

ხვევს დურნოვოს თავზე, რადგან ყველამ იცის, როგორ ექცეოდა თითონ ვიტე კადეტებსაო: კადეტების კრების აკრძალვა თითონ ვიტეს ნაბრძანები იყო, რაიც გრადონაჩალნიკმა თავის დროზე განაცხადა; საზოგადოთ, კადეტების ანტიპატიაში ,,ვიტე და დურნოვო განუყოფელნი არიან". ამიტომ უთანხმოებაზე გავრცელებულ ჭორებით ვიტეს ტყუილათ სურს კადეტების სიმპატია მოიპოვოს.

— 20 მარტს ქ. ცარიცინის ყველა ეკლესიებში მღვდლები აფიცებდნენ ხალხს, მხოლოდ „17 ოქტ. კავშირს" მიეცით ხმაო. მაგრამ მამა-პოლიტიკანების სიტყვებმა ხალხზედ არ იმოქმედა.

— სარატოვის გუბ. ერთი სოფლის დამშეული გლეხი საერობო უფროსთან მივიდა და სთხოვდა, პური მასესხე, ცოლშვილი შიმშილით მეხოცებაო. საერობო უფროსმა თავისებურად დაუტატანა, მაგრამ გლეხი, ეტყობა, მეტათ დამწუხრებული იყო, რომ უფრო და უფრო ჩაციებით სთხოვდა. მაშინ საერობო უფროსმა ძაღლი მიუსია; საწყალმა გლეხმა რის ვაი-ვაგლახით დაახწია თავი, საერობო უფროსი კი ხარხარებდა. ამ ამბით აღშფოთებულმა 600 გლეხმა ყრილობა გამართა და საერობო უფროსი გამოიწვია. გონიერ გლეხებს რომ არ შეეკავებინათ გაბრაზებული გლეხები, საერობო უფროსს იქვე გასწიწკნიდენ.

**რიგა.** როზეს, დრეიმანს, შტრაუმანს და ვეტრას სამხედრო სასამართლომ არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის კატორგა მიუსაჯა.

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ პროფესორ ლისენკოვს, ჟურნალ ,,სვაბოდ. შკოლაში" მოთავსებულ წერილის გამო, ორი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

**კოსტრომა.** გაძარცვის დროს მოჰკლეს ბუშევსკი, იმისი ცოლი და მოსამსახურე ქალი. დამნაშავეები გაიქცნენ.

**ბელოსტოკი.** საღამოს 9 საათსა და 30 წუთ. კლეცკის მაღაზიაში ყუმბარა გადააგდეს. მაღაზიას პატრულები იცავს.

---

## ქიზიყი და განმათავისუფლებელი მოძრაობა

### III

(კორესპონდენცია)

მკითხველველი კარგათ დაინახავდა, რომ ის ზომები და საშუალებანი, რომელნიც მიიღო მთავრობამ ქიზიყელების გასანადგურებლად, ვერ დაამყარებდა მცხოვრებლებში ვერც მთავრობის ერთგულებს და ვერც ასე ადვილად შეეთვისებოდნენ და დაემორჩილებოდნენ ძალად თავზედ მოხვეულს ახალს წესწყობილებას; პირიქით მთავრობის მიერ სასტიკმა ხალხის დარბევამ, თავსლაფ დასხმამ და ამავე ხალხის თავმოყვარეობის შეურაცხყოფამ, მცხოვრებთ შთაუნერგა გულში ზიზღი და შურისძიება. ხალხმა დაჰგმო ახალი წესწყობილება, შერიგებით კი ვერ შეურიგდა, მხოლოდ უღონობის გამო მიეუჩდა-დაინაბა და გულში ატარებდა შურისძიებას და ელოდა დროს, რომ ჯავრი ეყარა მტერზედ. აგი გაბრაზებულმა ხალხმა რამდენჯერმე სცადა აჯანყება, მაგრამ რას გახდებოდა ერთი კუთხე საქართველოსი მთავრობის ჯარებთან და მთავრობამაც ადვილად მოახერხა ჩვეულებრივ თავისის ზომებით აჯანყებების ჩაქრობა.

ახლა, როდესაც მთელი მშრომელი ხალხი მთელს სახელმწიფოში, უკიდურესმა გაღატაკებამ უზომო ხარჯით და ცარცვა-გლეჯით, უუფლებობამ, მიიყვანა აუტანელ მდგომარეობამდის და ხმა ამოაღებინა მტანჯველთა წინააღმეგ, როდესაც ასტყდა მთელი მშრომელი ხალხის მოძრაობა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ და მოითხოვა პური და უფლება, ქიზიყსაც დაეტყო, თუმცა უჩინარი, მაგრამ რაღაცა აღელვება.

---

ბისა და მიწის მოწყობის მოსპობასა და სამეფო მთავრობის ძლიერების დამხობას ხუთს წელს განუწყვეტელი ამბოხება მოუნდა, 1788-დან 1793-მდე, ბურჟუაზიის ფეოდალიზმისა და პლუტოკრატიის ძლიერების დამხობას, თუ მეტი არა, ამდენი ხანი მაინც უნდა.

და აი, სწორედ ასეთ საზოგადო მღელვარების დროს, როდესაც გონება უფრო მსწრაფლად მუშაობს, როდესაც ყველას, ბრწყინვალე ქალაქისა და მიყრუებულ სოფლის გლეხის ქოხში საზოგადო საქმე აინტერესებთ, დაობენ, ლაპარაკობენ, ცდილობენ ერთმანეთი დაარწმუნონ, სწორედ მაშინ ანარქიული იდეა, უკვე არსებულ ჯგუფთაგან დათესილი, შეიძლება ამოვიდეს, ნაყოფი მოიტანოს და გამოირკვეს უმეტესოათვის. მაშინ ისინი, ვინც ეხლა გულგრილად უყურებენ ამას, ნამდვილი მომხრეები შეიქნებიან ახალ იდეიისა.

ასეთი იყო ყოველთვის განვითარების მსვლელობა და საფრანგეთის დიდი რევოლიუცია გამოდგება ამის მაგალითად.

* * *

რასაკვირველია, ამ რევოლიუციას (საფრანგეთისას) არ მოუხდენია ისეთი ღრმა ცვლილებანი, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ; იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ დაამხო არისტოკრატია და იმის ადგილზე ბურჟუაზია დააყენა. იგი არ შეჰხებია კერძო საკუთრებას, პირიქით, გააძლიერა კიდეც იგი: სწორედ ამ რევოლიუციამ გაუხსნა საბრძანებელი ბურჟუაზიულ ექსპლოატაციას. მაგრამ ამან მოიტანა დიდი შედეგი მით რომ სამუდამოდ გააუქმა ბატონყმობა და იმისი წესი—და გააუქმა ძალით, საქმით, რაც უნამდვილესია იმაზე, კანონით რომ გაეუქმებინათ ესა. ამან გაუხსნა მთელი ხანა რევოლიუციას, რომელიც იქიდან დაწყებული ერთი მეორეს მოსდევს და თანდათანობით უახლოვდება სოციალურ რევოლიუციას. ამან მისცა საფრანგეთის ხალხს ის სარევოლიუციო ძალა, ურომლისოდაც ხალხთ შეუძლიათ მთელის საუკუნეების განმავლობაში ყოვლად საზიზღარ უღლის ქვეშ იხრჩობოდნენ. ამან უანდერძა ქვეყანას მთელი იდეიური მსვლელობა, მდიდარი მომავლისათვის შედეგებით; ამან გაალვიძა სული მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისა; ამან მისცა საფრანგეთის ხალხს სარევოლიუციო აღზრდა. თუ საფრანგეთში 1871 წ. კომუნა იყო, თუ საფრანგეთის მუშა ეხლა სიამოვნებით ითვისებს ანარქისტულ კომუნიზმის იდეას მაშინ, როდესაც სხვა ხალხები, როგორც გერმანია, კიდევ სახელმწიფოებრივობისა ანუ კონსტიტუციონალიზმის ხანაში არიან, იმ ხანაში, რაც საფრანგეთმა 1848 წლამდე გამოსცადა (ასეთს მდგომარეობაშია ეხლა გერმანია), ანა და უფრო ადრე (ასეთ მდგომარეობაშია რუსეთი), ეს იმიტომ, რომ წარსულ საუკუნის ბოლოს საფრანგეთმა გამოსცადა ოთხის წლის დიდი რევოლიუცია.

აბა მოვიგონოთ, როგორს სამწუხარო სურათს წარმოადგენდა საფრანგეთი ამ რევოლიუციამდე რამდენისამე წლის წინად და არა უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენდა მეფის მთავრობის და ფეოდალურ წყობილების გაუქმების მოლოცნებენი!

გლეხი ისეთს სიღარიბესა და უვი-

მიუხედავად იმისა, რომ ხალხს რადაცა არა სჯეროდა, თუ ის მთავრობა, რომელმაც მთელი სახელმწიფოს მშრომელი ხალხი მეწველ ფურად აქცია და უბრალო ვერაგ პოლიციის მოხელეთა ფეხქვეშ სათელად აქცია, რომელმაც საშინელის ზომებით ჩააჭკლა და ჩააქრო ხალხში უბრალო თვით მოქმედება და ხმის ამოღებაც კი, რომელზედაც აჭაურებს ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ მის ფიზიკურს ძლიერებაზედ, რომ არამც თუ ქვეშევრდომნი, სხვა სახელმწიფოებიც ვერ გაუბედავდნენ ხმის გაცემას, ვერ წარმოედგინათ თუ შესაძლებელი იყო ამისთანა მთავრობის დამარცხება და ხალხის გაბატონება.

მაგრამ აი ასტყდა ჩვენი თვითნება მმართველების მიერ ვერაგულად გამოწვეული რუსეთ-იაპონიის ომი და ქიზიუმაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება; ვისაც შეეძლო ყიდულობდა გაზეთებს, რომ გაეგო რა ხდებოდა შორეულ აღმოსავლეთში, ვისაც არა, ყურს უგდებდა გაზეთების მკითხველთ, მით უმეტეს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ბევრი ჯარის კაცი იყო გაგზავნილი აქედან და ეინტერესებოდათ მათი ბედიც. დამარცხდა რუსეთის ჯარები, დაიღუპა მთელი ფლოტი და ქიზიყელების ტვინმაც დაიწყო მუშაობა, თუ რათ და როგორ მოხდა, რომ ეს ვითომდა უძლეველი სახელმწიფო ერთის დაკვრით დაამარცხა პატარა, მაგრამ განათლებულმა იაპონიამათ. რასაც თვით ვერ მიხვდნენ, გამოჩნდნენ ხალხის მოკეთენი და უხსნიდნენ მიზეზებს ამისთანა უმაგალითო დამარცხებისას. აი, აქედან შეიცვალა ქიზიყელების აზრი მთავრობის უძლეველობაზედ, ისე აღარა ფიქრობენ; ეს პირველი გამარჯვებაა ხალხის აზრისა...

ყველამ იცის, რომ ამ ომმა მთელ რუსეთში გამოიწვია დიდი პროტესტი. მშრომელმა ხალხმაც მიაქცია დიდი ყურადღება, რადგან ეს ომი ამ ნაწილს დააწვა კისერზედ მთელის თავისის სიმძიმით. დაიწყო მთელ რუსეთში გლეხების უკმაყოფილება და განსაკუთრებით პროლეტარების მოძრაობა. წინათ თუ ქიზიყი სახელმწიფო საქმეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ან ვინ რას ჰკითხავდა, ახლა გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, რაც ხდებოდა სახელმწიფოში, ცოტა გაბედულება მოემატა და ცოტა უკმეხად დაუწყო ცქერა მთავრობის კაცებს (წინათ როგორ გაბედავდა). ამ რიგად ჯერ მთელი საუკუნის განმავლობაში შეურიგებელმა ზიზღმა, შურისძიებამ და უკმაყოფილებამ მმართველების მიმართ, მერე მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის გაბედულმა ხმამ—მოძრაობამ, ქიზიყიც გაიტაცა და საქმით, თუმცა ჯერ გაუბედავად, მაინც ათქმევინა პროტესტი არსებულს წესწყობილებაზედ და იმედი გაუღვიძა ბრწყინვალე მომავალზედ. რამდენათაც რუსეთში იზრდებოდა მოძრაობა, [illegible]დვე ქიზიყსაც დაეტყო აღელვება და მოძრაობის ზრდა. ჯერ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, იკრიფებოდა და ითვალისწინებდა აწმყოს და მომავალს, ამუშავებდნენ ძალმომრეობით დახშულს გონებას. ამ ხანამ ამოატივტივა ნაძირალა ბოროტი სულები, რომელიც ყოველ ნაბიჯზედ თვალყურს ადევნებდნენ რა ხდებოდა ხალხში და ატყობინებდნენ, სადაც ჯერ იყო, რომ ხელი შეეშალათ ხალხის შეგნება-გამოღვიძებისათვის; მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო გაბედულება ემატებოდა ხალხს და მაგრე რიგად ყურადღებას აღარ აქცევდნენ ჯაშუშების ოინებს. აი, ამ მოძრაობის დროს გამოჩნდა მთელი საუკუნის განმავლობაში ჩათესილი გესლი, უკუღმართ წესწყობილების შედეგი, რომელმაც ერთი ნაწილი გლეხობისა გაათახსირა ზნეობით და დასცა სულით ხორცამდე, რომლის შესახებაც ჩვენ წინა წერილში ვსწერდით.

ქიზიყის შეგნება-გამოფხიზლებაზედ დიდი გავლენა იქონია ჩვენში ერობის შემოღების საკითხმა და სიღნაღის ვაჟთა და ქალთა სკოლების მოწაფეთა მოთხოვნა-გაფიცვებმა. როგორც ყველგან რუსეთში და ჩვენშიაც, სიღნაღის სასწავლებლების მოწაფენიც აღელვა ცხოვრების სიდუხჭირემ და სკოლებში არსებულმა რეჟიმმა და მოითხოვეს

---

ცობაში იყო მაშინ, რომ ეხლა ძნელია წარმოვიდგინოთ. სოფლებში გაფანტული უგზო-უკვლო, მოწყვეტილი იმას, თუ რა ხდებოდა ასის ვერსის მოშორებით, სახნის-საკვეთზე დახრილნი, ჭირიან ქოხში ჩამწყვდეულნი, ისინი სამუდამო მონად შექმნილსა ჰგავდნენ. თანხმობა იმათ შორის შეუძლებელი იყო, ხოლო ყოველ მცირე ცდას აჯანყებისას მოჰყვებოდა ხოლმე ჯარი, სწყვეტდა აჯანყებულთ, ხოლო იმათ მფარველთ ახრჩობდა ქასთან ორსაეენნახევრიან სახრჩობელაზე, როგორც ნათქვამი იყო მაშინ მოხსენებებში. ხანდახან აქა-იქ სოფლებში ძვირათ გაივლიდნენ ხოლმე ვილაც უცნობი კაცები, მჩაგვრელთადმი სიძულვილს ულვიძებდნენ ხალხს, ულვიძებდნენ იმედს იმ იშვიათ ადამიანებს, რომელნიც გაჰბედავდნენ იმათ ყურის დაგდებას. მთავრობას გლეხი ძლივსძლივობით უბედავდა, ეთხოვნა პური და თუნდაც მცირე შემსუბუქება ხარკისა. საკმაოა, გადაათვალიეროთ სასოფლო „ნაკაზები“ იმათგან 1789 წელს წარდგენილი პალატის პირველ არჩევნების დროს, რომ დარწმუნდეთ ამაში.

რაც შეეხება ბურჟუაზიას, იმის დამახასიათებელ ნიშნად იმ დროს იყო განსაკუთრებით სიმხდალე. კერძო, ძალიან იშვიათი პირები გაჰბედავდნენ ხოლმე მთავრობის გაკიცხვას და რაიმე გაბედულის მოქმედებით აღვიძებდნენ საწინააღმდეგო სულს. მაგრამ ბურჟუაზიის უმეტესობამ ქედი მოიხარა მეფისა და იმის სასახლის წინაშე, გუბერნატორისა და ასე გასინჯეთ მეეზოვისა და მეეზოვის მსახურის წინაშეც კი. საკმაოა მხოლოდ წაიკითხოთ აქტი იმ დროინდელ ქალაქის საბჭოსი, რომ ნახოთ როგორ საზიზღრად მლიქვნური იყო ბურჟუაზიის ენა 1789 წლამდე. იმის სიტყვებში გამოსჭვივის თვით უმდაბლესი სიმხდალე,—რაც უნდა სთქვან ლუი ბლანმა და სხვა იმისმა პატივისმცემლებმა იმ დროის რევოლიუციონერთა მცირე რიცხვი—ძალიან ცოტა—უყურებდა გარშემო მყოფთ ღრმა სასოწარკვეთილებით და, მაგალითად, გამბედავი კამილ დემულენი სრულიად მართალი იყო, როდესაც შესანიშნავი ფრაზი წარმოსთქვა: „1789 წლამდე ჩვენ, რევოლიუციონერები, პარიზში სულ დიდი თორმეტამდე თუ ვიქნებოდითო“.

მერე როგორს ცვლილებას ვხედავთ სამისა თუ ოთხის წლის შემდეგ! როგორც კი მეფის მთავრობა ცოტ-ცოტად შესუსტდა სხვა და სხვა მდგომარეობის მეოხებით, ხალხმა მაშინვე დაიწყო მღელვარება. მთელი 1789 წელი სავსეა გლეხთა წვრილ და ხშირ ამბოხებებით. როგორც ჩვენს დროში იფეთქებს ხოლმე წვრილი ადგილობრივი შეტაკებები, აჯანყებაც ასე იფეთქებდა ხან აქ, ხან იქ, საფრანგეთის ზოგიერთ ნაწილებში. მაგრამ აჯანყება ცოტ-ცოტად ვრცელდება, უფრო საზოგადო, უფრო გაბედული ხდება და იმის დამარცხება უფრო და უფრო ძნელდება.

ორის წლის წინად გლეხები ძლივს ჰბედავდნენ მოეთხოვნათ ხარკის რამდენადმე შემცირება (როგორც ეხლა ქალაქის მუშები თხოულობენ შრომის ხელფასის მომატებას). ეხლა კი, 1789 წელს გლეხი უკვე შორს მიდის. იბადება ზოგიერთი საერთო იდეია, სახელდობრ ის, რომ სამუდამოდ გადაი-

სკოლის მთავრობებისაგან არსებულ სწავლების სისტემის შეცვლა, მათი ადამიანად აღიარება და სწავლების საქმის ნამდვილ პედაგოგიურ ნიადაგზედ დაყენება. რადგანაც სკოლის მმართველებმა მოწაფეთა სამართლიანი მოთხოვნანი არ დააკმაყოფილეს და ბევრი საუკეთესო შეგირდიც დაითხოვეს სასწავლებლიდან, მოწაფეებმაც პასუხი გასცეს გაფიცვით. შესწყვიტეს სწავლა, ვინემ მათი მოთხოვნანი არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. რასაკვირველია, ამ ამბავმა სკოლის პედაგოგიური საბჭოები დაათრთხო-შეაწუხა და იძულებული გახადა, ყურადღებით მოპყრობოდა მოწაფეთა „თავგასულობას“. ამის გამო სკოლების მეუფროსეთ ჯერ სცადეს მოწაფეთა დაყოლადათათბირება, მაგრამ მოწაფეებმა ცივი უარი სტკიცეს სწავლის გაგრძობაზედ, ვინემ მათი მოთხოვნანი არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. სკოლის მმართველთ კი ეს არ შეეძლოთ. ამისათვის მიჰმართეს მოწაფეთა მშობლებს, მოიწვიეს და მათთან ერთად უნდოდათ მოეწესრიგებინათ საქმე, მაგრამ როგორ მოაწესრიგებდნენ, თუ არსებითად არ შეიცვლებოდა სწავლების საქმე, რასაც მოწაფეებიც ითხოვდნენ. აი, ამ მშობლების კრებებზედ, რომელზედაც ესწრებოდა სოფლებიდან მრავალი გლეხობა, ბევრმა ორატორმა გაბედული სიტყვები წარმოსთქვა. ადაგმეს და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს არსებული წეს-წყობილება, სკოლებში სწავლების უკუღმართობა, ერთი სიტყვით, ხალხს დაანახვეს სრული უნუგეშო მდგომარეობა როგორც საწყალ ხალხის, ისე მოწაფეებისა, რომლებზედაც მშობლები უკანასკნელ გროშს ხარჯავენ, რომ შვილებს ასწავლონ და სწავლის მაგიერ, გამოფიტულს, გონება დაბნეულს და ფიზიკურადაც დაუძლურებულებს ისტუმრებს ჩვენი სკოლა საცოდავ ბავშვებს და რომელნიც ცხოვრებაში, მავნე თუ არა, სასარგებლონი მაინც არ არიან და ტყუილად ჰკარგავენ დროსა და ჯანმრთელობას. ამისთანა ლაპარაკი კრებებზედ და სიღნაღის მოედანზედ, ბავშვების გატაცებული სჯა-ბაასი, ჟრიამული, არა რჩებოდნენ ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. არა, გადადიოდა ხალხში, სოფლად და იქონია გამომაფხიზლებელი ზედგავლენა, მოამზადა ნიადაგი ხალხის თვითმოქმედებისა.

განწირული.

—

**ქუთაისი**, 12 აპრილს. როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის ქალაქის გამგეობას ვრცელი მოხსენება წერუდგენია ნამესტნიკისათვის, ქუთაისისა და იმის გუბერნიის განადგურების შესახებ. ნამესტნიკი, როგორც გვიგიეთ, დაჰპირებია ქალაქის მოურავს: სასტიკ გამოძიებას მოვახდენ და თუ მართლა ამისთანა ამბები ხდებოდა ქუთაისის გუბერნიაშიო და სამართალში მივსცემ ამ დაწვა-განადგურების ინიციატორთაო. ნამესტნიკს, რა თქმა უნდა, ადვილათ შეუძლია [illegible]დოს და დაამშვიდოს ქალაქის [illegible], საქმის გამოკვლევამდე, საწყალი ხალხი იწრიტება სისხლით. დღეს მრავალი კაზაკი გაიგზავნა რაჭა-ლეჩხუმისკენ თავისს ბარგი-ბარხანით, მოწყობილებით.

კაზაკები კვალინდებურათ განაგრძობენ თარეშს. ამ დღეებში გამოასალმეს წუთისოფელს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ვაჩიბერიძე. ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ჯაშუშის (ამათი რიცხვი ქუთაისში თანდათან მატულობს) წინამძღოლობით კაზაკები მიადგნენ ვაჩიბერიძის სახლს და მოითხოვეს „დამნაშავე“. ბევრს ეხვეწა მამა, ხვალ დილით მე თვითონ მოვიყვანო, ქრთამიც მისცა, მაგრამ საწყალმა ვერაფერი გააკეთა. უმაწვილი წაიყვანეს და მშობლებმა თავიანთი შვილი მეორე დღეს დულაძის მინდორზე მკვდარი იპოვნეს.

—

გუშინ,, 11 აპრილს, ქუთაისის მაზრის ყველა საზოგადოებაში რწმუნებულებმა აირჩიეს ამომრჩევლები. თითო საზოგადოებამ ორ-ორი. რამდენისამე დღის შემდეგ ეს ამომრჩევლები მთელი გუბერნიიდან შეკრებიან ქუთაისში და ამოარჩევენ დეპუტატების ამომრჩევლებს, რიცხვით 41 კაცს.

—

გდონ კისრიდან მძიმე ტვირთი აზნაურისა, მღვდლისა და ბურჟუა-მესაკუთრისა... როგორც კი შენიშნა გლეხმა, რომ მთავრობა უძლური იყო, წინააღმდეგობა გაეწია ამბოხებისათვის, იგი ამხედრდა თავის მტრების წინააღმდეგ. რამდენმამე გაბედულმა კაცმა უკვე დასწვა პირველი ციხეები. უმეტესობა, ჯერ კიდევ დაჩაგრული და მშიშარა, უცდიდა, ვიდრე ცეცხლის ალი ფართოდ მოედებოდა, რომ ხარკის ამკრები ერთ ერთ იმ ბოძთაგანზე ჩამოეხრჩო, რომელზედაც ოდესმე ამბოხების წინამორბედნი ილუპებოდნენ.

წინად მხედრობა საჩქაროდ გამოცხადდებოდა ხოლმე ამბოხების ადგილზე, ეხლა, (1789 წელს) იგი ისე მოუცლელია ერთსა და იმავე დროს, სხვა და სხვა ადგილებში, რომ აჯანყების ჩასაქრობად არ მოდის.—აჯანყება ერთის სოფლიდან მეორეზე გადადის და ჩქარა მთელის საფრანგეთის ნახევარს იპყრობს.

იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიიდან გამოსული მომავალი რევოლიუციონერები კიდევ თაყვანს სცემდნენ მეფეს; იმ დროს, როდესაც მომავალ რევოლიუციის თვალსაჩინო მოღვაწეები კიდევ სცდილობდნენ, ჩაექროთ ამბოხება ცოტაოდენის დათმობით. სოფლები და ქალაქები უკვე დიდი ხნის წინად აჯანყდებიან გენერალურ შტატების შეკრებამდე და მირაბოს სიტყვების თქმამდე. ასობით ამბოხებანი (ტენი სამასად იხსენიებს ამათ) იფეთქებს სოფლებში მანამდე, ვიდრე პარიზელები, შუბებით და რამდენისამე საცოდავის ზარბაზნებით შეიარაღებულნი, ეცემიან ბასტილიას 14 ივლისს 1789 წელს.

აქედან მოკიდებული რევოლიუციის ჩაქრობა შეუძლებელი ხდება. რომ ამას მარტო პარიზში ეფეთქნა, რომ ეს მარტო საპარლამენტო რევოლიუცია ყოფილიყო, იგი სისხლში ჩამხრჩვალი იქნებოდა, და კონტრ-რევოლიუციონური ავაზაკები თეთრის ბაირაღებით ივლიდნენ სოფლითი სოფლად, ქალაქითი ქალაქად და ხოცვას დაუწყებდნენ გლეხებსა და „პატრიოტებს“. (ასე უწოდებდნენ თავის თავს ყველა ისინი, ვინც მომხრე იყო კონსტიტუციისა და ხალხის განთავისუფლებისა). მაგრამ, საბედნიეროდ, რევოლიუციამ დასაწყისიდანვე სხვა ხასიათი მიიღო. იგი ჩქარა მოედო ასობით სოფლებს, ყოველ სოფელში, ყოველს დაბაში, ყოველს ქალაქში აჯანყებულ პროვინციისა სარევოლიუციო უმცირესობა, მძლავრი თავის გაბედულებითა და აგრეთვე იმ მდუმარე დაახმარებით, რასაც იგი ხალხის მისწრაფებაში ხვდებოდა, იერიშით მიდიოდა მემამულეთა კოშკისა, ქალაქის სამართველოსა ან და ბასტილიის ასაღებად, შიშის ზარსა სცემდა არისტოკრატიას და უმაღლეს ბურჟუაზიას და სპობდა უპირატესობას. უმცირესობა იწყებდა რევოლიუციას და იმხრობდა დანარჩენ მასსას. ყოველი რევოლიუცია უმცირესობისაგან ხდება.

როგორც მკითხველებმა იციან, ს. ფედერალისტებმა უკვე მოხსნეს ბოიკოტი სათათბიროს. მათ დაუდგენიათ, არჩევნების დროს გაიყვანონ გ. ფ. ზდნაოვიჩი, რომელიც ამ დღეებში გაანთავისუფლეს ყველა ბრალდებისაგან, მ. ქიქოძე და კ. აბაშიძე.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქუთაისის ორგანიზაციამ ამ დღეებში გაავრცელა ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაცია, რომლითაც პარტია იწვევს ხალხს სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადოს სათათბიროს.

—

კაზაკებს არც ჟანდარმები ჩამოუვარდებიან ,,ბრძოლაში‘‘. 11 აპრილს რიონის სადგურზე იმათ დაიჭირეს ხუთი მეგაზეთე, წაართვეს ,,ჩერნ. ვესტ‘‘. და ,,ელვის‘‘ ნომრები; თვითონ მეგაზეთენი-კი საღამომდე დამწყვდეული ჰყავდათ. საღამოს ემაწვილები გამოუშვეს, მაგრამ გაზეთები არ დაუბრუნეს. ნუ თუ გაზეთებით კითხვაც აღკრძალული. არც ეს არის საკვირველი ამ დროში.

—

11 აპრილსვე ქუთაისის გუბერნატორი ოსეცკი გაემგზავრა სამეგრელოსკენ, სადაც დაათვალიერებს სენაკის და ზუგდიდის საპყრობილეებს. გუბერნატორს დავალებული აქვს განათავისუფლოს პოლიტიკური რამნაშავენი, რომელნიც აგერ ოთხი თვეა, რაც საპყრობილეებში იტანჯებიან.

**პ.**

---

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

### რედაქტორის საქმე

12 მარტს ტფ. სასამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩა საქმე ,,პატარა გაზეთის‘‘ რედაქტორის, ბ-ნ კონ. მესხისა, რომელსაც ჰბრალდებოდა გაზეთში რევოლიუციონურ ლექსის „სალდათის სიმღერა“ ს მოთავსება. რადგან საინტერესოდ მიგვაჩნია, მოგვყავს შემოკლებით სიტყვა ბრალმდებლის ბ-ნ სეოპინსკისა და რედაქტორის დამცველ ვექილის გ. გვაზავასი.

**პროკურორი:** ბ. კ. მესხის დანაშაული აშკარაა და დამტკიცებულია. დაბეჭდილ ლექსის შინაარსი მიმართულია სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ. ბ-ნი კ. მესხი ულაპარაკება სალდათებს, არ დაემორჩილოთ თქვენის უფროსის ბრძანებასაო. მიიღეთ მხედველობაში ის დრო, როდესაც ეს ლექსი იყო დაბეჭდილი. მაშინ ყველგან დიდი მოძრაობა იყო, თითქმის აჯანყებაც. ამბობდნენ, რომ ზოგგან სალდათებიც შეუერთდნენ მუშების და გლეხების მოძრაობასაო. აშკარაა, რომ ამისთანა ლექსი სალდათებს შორის მოახდენდა დიდს შთაბეჭდილებას და ბევრს შეუცვლიდა აზრსა და შეხედულებას. ჯარის მოვალეობაა, დაიცვას ქვეყანა როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან. თუ ჯარი არ ემორჩილება უფროსის ბრძანებას, თუ ჯარში შერყეულია დისციპლინა, მაშინ შეუძლებელია ყოველი დაცვა საზოგადო წესიერებისა. ამიტომ უნდა ცნობილ იქმნას დანაშაული ბ-ნ მესხისა და გადაეწყვიტოს უმაღლესი შესაფერი სასჯელი.

**ნაფიცი ვექ. ბ. გ. გვაზავა:** პირველად მე წინააღმდეგი ვარ იმ შეხედულებისა ლექსის შესახებ, რომელზედაც სდგას ბ-ნი პროკურორი. ლექსი არ არის უბრალო წერილი ან სტატია. ლექსი შედეგია წამიერ აღმაფრენისა და ამიტომ ძალიან ადვილია ლოგიკურად მისი გადასხვაფერება. შეიძლება ლერმონტოვისა ან პუშკინის თხზულებიდან ამოვკრიბოთ ისეთი ადგილები, რომ ადვილად დავამტკიცოთ ყველაფერი, რაცა გნებავთ. რაც შეეხება „პატარა გაზეთში“ დაბეჭდილ ლექსს, უნდა აღვიარო, რომ არ მოიპოვება არავითარი ისეთი აზრი, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ან სინიდისს, ან რჯულს, ან კანონს. დედააზრი ლექსისა ის არის, რომ ყოველი ადამიანი ხელ-შეუხებელია, რომ მუშა და გლეხი ჩვენი ძმები არიან და მათი ცემა და ხოცვა ცოდვაა და უსინიდისობა. რა არის აქ კანონის საწინააღმდეგო!? ნუ თუ ისე შეიცვალა ჩვენი აზრი და გრძნობა, რომ დანაშაულობად უნდა ჩავთვალოთ თვით მოძღვრება წმ. სახარებისა? განა თვითონ იესო ქრისტე არ ამბობდა, რომ ყველა ძმები ვართ და უნდა გვიყვარდეს ყოველი მოყვასი ჩვენი? სჩანს, იესო ქრისტე რომ კვალად გამოცხადეს ჩვენს ქვეყანაში, უეჭველია, ბ-ნი პროკურორი იმასაც დასვამდა ამ ბრალდებულის სკამზე, სადაც ეხლა ზის ბ. მესხი. კანონის წინააღმდეგობაო? დისციპლინა მოითხოვს მუშებისა და გლეხების ცემას და ხოცვას? სად არის ასეთი კანონი—აბა დამისახელოს ბ-მა პროკურორმა, ასეთი კანონი არ არის. პირიქით, არის კანონი სულ სხვანაირი: არის მანიფესტი 17 ოქტომბრისა, იქ უმაღლესად გამოცხადებულია ხელშეუხებლობა ადამიანისა! ხელმწიფე იმპერატორის მოღალატეა ის კაცი, თუნდაც სალდათი და ჯარის უფროსი, რომელიც წინ ეღობება ამ უმაღლეს ბრძანების განხორციელებას. წინ კი ეღობებიან ბევრნი უფლების წარმომადგენლები, რომელთაც აახრეს და გადასწვეს ჩვენი სამშობლო. ლექსში ეს წარმომადგენლები წოდებულნი არიან „უგვანო კომანდირებად‘‘. ,,უგვანო‘‘—რა სუსტი სიტყვაა! უგვანო კი არა, ასეთი უფროსები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან უმაღლესს ბრძანებას და ჰხოცავენ გლეხებსა და მუშებს, ჩემის აზრით, ჩამოხრჩობის ღირსნი არიან. მაშ რა დანაშაული მიუძღვის კ. მესხს? ის ჰღაღადებს—შეიყვარეთ მუშები და გლეხობაო. ნუ თუ არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი? თუ ესეც არ შეიძლება... არა, მე არ შემიძლიან მეტი ლაპარაკი. გთხოვთ გაამართლოთ კ. მესხი და ჩქარა არხივში გაჰგზავნოთ ეს მამარცხვინო და სკანდალური საქმე, რომელიც ვერ მოუხვეჭს დიდს სახელსა და ქებას ბ-ნ პროკურორს.

**პროკურორი სკოპინსკი.** უკანასკნელს სიტყვებში მე ვხედავ ჩემს შეურაცხყოფას. გთხოვთ შეიტანოთ პროტოკოლში.

**გ. გვაზა.** მე წარმოვსთქვი ჩემი აზრი საქმის შესახებ და მზადა ვარ ვიკისრო სასჯელი, თუ დამიმტკიცებენ ჩემის აზრის უმართებულობას.

პალატამ რედაქტორი სრულიად გაამართლა.

---

## ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ქ რ ო ნ ი კ ა

—

✦ **ბათუმი.** პირველი ნომერი ახალ გაზეთის „გურია“-სი დაიჭირეს; რედაქტორი დავიდოვი (იგივე რედაქტორი „ჩერნომორსკი ვესტნიკისა“) დაჭერილია და იგზავნება შორეულ გუბერნიაში. ორთავე გაზეთის გამოცემა შეაჩერეს.

✦ **ჟანდარმების შეიარაღება.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად ტფილისშიაც შეაიარაღეს ჟანდარმები. 8 აპრილიდან ტფილისის სადგურზედ მოდარაჯე ჟანდარმებს უკვე დაურიგეს ხიშტიანი თოფები.

✦ ხელახლად **დამტკიცდა ცენზურა** გაზ. „შრომა“-ს სურათებიან და კარიკატურებიან დამატებისთვის.

✦ **საიდუმლო სტამბა.** გაზ. ნ. პ. აბტყობინებენ კავკავიდან: კავკავში ალ-

მოაჩინეს საიდუმლო სტამბა და შეიპყრეს მასწავლებელი ქალი ელენე ყაზახაშვილი და იოსებ ბაბილოძე.

✦ **სომხებისა და აფხაზების შეტაკება.** სოხუმში ერთ სომეხს აფხაზი მოუკლავს; ამას, როგორც „ჰარაჯს“ ატყობინებენ, უთანხმოება ჩამოუგდია აფხაზებსა და სომხებს შორის. აფხაზებს გამოუცხადებიათ, თუ მკვლელს არ დაგვისახელებთ, აგიკლებთო.

✦ **ბაქოდან** გაზ. ნ. პ. ატყობინებენ: ექვს აპრილს სალიანის პოლკის პოდპორუჩიკმა გოლუბოვმა აღმოაჩინა შემთხვევით უზარმაზარი გვირაბი ჯარის საწყობიდან იარაღისა და პატრონების მოსაპარავად. აღმოჩენისათანავე გოლუბოვმა უცბათ აცნობა როტის უფროსს, რის შემდეგაც ახლო-მახლო სახლებს ჯარი შემოარტყეს. გვირაბი აღმოჩნდა იარაღის საწყობიდან 70 საჟენის სიგრძეზედ დავიდიანცის სახლამდის, რომელიც სამაგალითოდ ყოფილა ტეხნიკურად მოწყობილი; შიგ ყოფილა გამართული ელექტრონის ზარები, მიწის სათხრელი მექანიკური მანქანები და ჰაერის სასუნთქავი მილები საუკეთესო სისტემისა. გვირაბიდან იყო გაყვანილი ელექტრონული ზარი მეორე სართულის დავიდიანცის სახლის ერთ ოთახში, სადაც მრავალი ხელსაწყო იარაღი აღმოჩნდა. შეიპყრეს 5 კაცი და სახლის პატრონი დავიდიანცი. სულ ორი თუ სამი ადლი-ღა აკლდა გვირაბის საწყობამდის, როდესაც გაიგეს.

✦ **ქუთაისში** დააპატიმრეს უმცროსი თანაშემწე გუბერნატორის კანცელარიის მმართველისა ე. გეგეჭკორი.
(„შრომა“).

✦ **ს. სვირში** ა. აბაშიძისას ჯერ ღამე გაათიეს და შემდეგ სახლი დაარბიეს კაზაკებმა. გაიგეს თუ არა ღამე გათეულებმა, რომ ა. აბაშიძე საჩივლელად წავიდა ქუთაისშიო, მაშინვე ცეცხლი მისცეს იმის სახლს და გადაბუგეს. ისედაც დაშინებული ხალხი, ამ ამბით თავზარდაცემული, გახიზვნას შეუდგა. შიშის ზარი იმდენად დიდი იყო თურმე, რომ მამა შვილს და ქმარი ცოლს აღარ უცდიდა და ისე გარბოდა სოფლიდან. ყველაზედ მეტად დაისაჯნენ გახიზვნის დროს ფეხ-მძიმე ქალები, რომელნიც სხვებს ჩამორჩნენ და დიდის ტანჯვისა და ვაების შემდეგ მიაღწიეს საფარველს. ზოგიერთმა ვერ მოასწრო თურმე გახიზვნა და უბედურება დაატყდა თავს. ვინც კი დახვდათ სახლში, ბევრის ცემისა და შეურაცხყოფის შემდეგ, დააპატიმრეს. ერთის გლეხის ჰურაძის სახლში ნახეს ორი გასათხოვარი ქალი. მთელმა ბრბომ გააუპატიურა ორივე და ნამუს ახდილი ქალები სირცხვილით თუ ძალმომრეობით დაიხოცნენ. უბედური მამა ქუთაისში წასულა საჩივლელად („შრომა“).

✦ როგორც გაზ. „შრომას“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, იმ საშინელებების გამოსაძიებლად, რომელსაც ეს ოთხი თვეა ბოლო არ ელება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, პეტერბურგიდან იგზავნება სახელმწიფოს დაცვის საქმის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. ნ. ომელიუსტი-პეტრენკო.

✦ 11 აპრილს, საღამოს 5 საათზედ გიორგი ამილახვარს და მის მხლებელთ 7 კაცამდე წყნეთის ქუჩაზე ესროლეს ყუმბარა. დაიჭრა სამი კაცი: კვალიაშვილი, დ. ნემსაძე და მაჩაბელი.

✦ გაზ. „ნ. პ.“ სწერენ გორიდან: ნამესტნიკის დეპეშის შემდეგ პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ, გაანთავისუფლეს გორის საპყრობილიდან თ. ლევან ციციშვილი, რომანოვი, ლომიაშვილი, უხურგანაშვილი, ზუმბურაძე, ბატიაშვილი, მელაძე, კოშორიძე და ალაგოვი.

✦ სამხედრო სასამართლოში მიცემული, მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის სოხუმში დაჭერილი გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი მოიყვანეს გორში და ადგილობრივ საპყრობილეში დაამწყვდიეს („ნ. პ.“).

✦ **ბაქოში** 9 აპრილს მთავრობამ აღმოაჩინა დიდძალი ლიტერატურა რუს. სოც. დემ. პარტიისა.

✦ **ქუთაისიდან** ატყობინებენ გაზ. „ნ. პ.“ შემდეგს: 6 მარტს 3 კაზაკის და 5 პლასტუნის თანხლებით სოფ. ცაგერიდან ქუთაისის საპყრობილეში გაგზავნეს პოლიტიკური დამნაშავე ალექსანდრე ლარცულიანი, რომელიც დანიშნულ ადგილზე მიყვანის მაგივრად გზაზედ მოუკლავთ.

✦ გაანთავისუფლეს მეტეხის საპყრობილიდან შარშან დეკემბერში დაპატიმრებული რკინის გზის მოსამსახურე ჯონიშევი.

✦ 11 აპრილს საღამოს სამი კაცი დააპატიმრეს, რომელთაც თ. გ. ამილახვრისთვის ყუმბარის სროლა ბრალდებათ. ერთი მათგანი ზეინკალია და ორიც სხვა, ვასო ჩუბინიძე და გიორგი ზუბიაშვილი.

✦ ვორონეჟში რკინის გზის ჟანდარმმა ერთი ქალი მიიწვია ოთახში გასაჩხრეკად და **შეურაცხყოფა მიაყენა;** გაბრაზებულ ქალს რევოლვერი გამოუტაცნია და სასიკვდილოდ დაუჭრია თავხედი ჟანდარმი.

✦ როგორც ვარშავიდან ნ. პ. ატყობინებენ, მეოთხე საზოგადოების საკრედიტო ბანკს დასცემია შეიარაღებული ჯგუფი და გაუტაცნია 10,000 მან.

✦ ბაქოდან გაზ. „ნ. პ.“ ატყობინებენ: 8 აპრილს დღის პირველ საათზედ ეტლით მიდიოდა ნავთის სავაჭრო საზოგადოების არტელშჩიკი ვასილი სავიჩევი. თავს დაეცნენ ოთხი შეიარაღებული კაცი და წაიღეს 3,040 მან.

✦ სოფ. ვაყაში მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე თ. გიგო ბეგთაბეგიშვილი.

✦ კავკავში აღმოჩენილ საიდუმლო სტამბასთან ერთათ აღმოუჩენიათ ორი ყუმბარა და რვა ფუთი შრიფტი. ერთ ყუმბარაზედ ყოფილა წარწერილი „ოლქის უფროსს“-ო.

✦ 9 აპრილს, საღამოს 8 ნახევარ საათზე ს. მუხათ-გვერდის მახლობლათ (ტფილისის მაზრაშია), საქართველოს სამხედრო გზაზედ 12 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა „როზენფელდის“ კანტორის ნოქარს, შოსსეს გზათა უმთავრესს მოიჯარადრეს ხ. ნიკოლაევს და მას თან მყოფთ მუშებს. ნიკილაევს წაართვეს: 50 მანეთი ფულათ, ოქროს საათი და ბეჭედი. მუშებისათვის არაფერი წაურთმევიათ. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ.

✦ **სოფ. ზეგანი.** (ქუთ. მაზრა). 29 მარტს ეწვივნენ ამ სოფელსაც მთელი რაზმი ქვეითა და ცხენოსან ჯარისა ბოქაულ მახარაძის უფროსობით. ხალხს თავ-ზარი დაეცა. არ დაინდეს არავინ, შეუცვივდნენ სახლებში და სულ დააწიოკეს ყველ-ნი. დაღამდა თუ არა, გმირები შეუდგნენ სოფლის ძარცვარბევას. მთელი სოფლის ქალები და ბავშვები ტყეში გაიხიზნენ ამ ქარ-ბუქში (აქეთ თოვლია ისევ), მაგრამ ამაოთ; სად არ გაიგონებდით სიცივისაგან შეწუხებულ ბავშვების ტირილს. ამით ისარგებლეს და გაექანენ იქით, საიდანაც ხმა ესმოდათ, როგორც გადმოგვცეს, თითქმის ყველასათვის ნამუსი აუხდიათ, ვინც კი ხელში ჩავარდნიათ. იქიდან დაბრუნებულნი ეწვიენ იქვე სოფლის დუქანს, რომელშიაც კაპეიკის

არა დაუტოვებიათ რა. საწყალი მედუქნე გაქანებულა თავ ქუდ მოგლეჯილი ბოქაულთან, საიდანაც გამოძიების მაგივრათ ცემა ტყეპით გამოაგდეს კარში ამ სიტყვებით: — რომ არ მოგკლეს, ღმერთს არ მადლობო?

ერთი კაცი, რომელსაც ნივთები წაართვეს, მაზრის უფროსთან მივიდა და შესთხოვა მოწყალება. მაზრის უფროსმა აღუთქვა დახმარება და გააყოლა ცნობილი ყვირილის გმირი კ. ნემსაძე, რომ ჩაებარებია მათი ნაძარცვი, მაგრამ უმუხლოთა ბედმა ამ საწყალს და სამაგიეროთ იმისა, რომ ტანისამოსი მიელო—დაემუქრენ: გაგვშორდი აქედან, თორემ მოგკლავთ და გადაგწვავთო.

შემდეგ ს. კიკნაველეთში დაბევვეს მასპინძლები და წამოვიდნენ. გალახულია თუთხმეტი კაცი, მათ შორის ბევრის მორჩენა გაჭირდა.

✦ **ს. სვირი და ობჩა.** სვირში მოსულმა კაზაკებმა დაიჭირეს მინდორში 30 მეწველი თხა, დასჭრეს თავები, მერე აჰკეპეს და გადაჰყარეს. დაიჭირეს გზაში ობჩიდან სვირის სადგურზე მიმავალი 14 წლის ყმაწვილი აკაკი ბურჯანაძე, ჯერ სცემეს და მერე გაიგდეს წინ კანცელარიისაკენ გზის საჩვენებლათ. გაძარცვეს იაკო და როსაპა თუთარაშვილის სახლები. გამოჰყარეს სასიმინდიდან წლის სარჩო სიმინდი და დაუყარეს ცხენებს. მოხადეს ხუთ-ხუთ საპნიანი ქვევრი, იღეს ღვინო თუ ორშიმით, თუ ჩექმებით და სვეს. როცა დათვრენ, ქვევრებში მიწა ჩაჰყარეს; მერე დაერიენ ქალებს. ცემით სიკვდილზე მიიყვანეს აღნიშნულ ოჯახებში შემთხვევით მყოფი ობჩაში მცხოვრები 60 წლის გლეხი იოსებ აბულაძე. გალახეს იპოლიტე თუთარაშვილი. დიდი გმირობა გამოიჩინა ქართველმა სტრაჟნიკმა ქარქაშიძემ. ეს ვაჟბატონი კაზაკებზე უფრო სასტიკადა სცემდა საბრალო ხალხს.

გაძარცვეს ლავრენტი კაპანაძის დუქანი, წაიღეს ფულად 7 მანეთი. დუქნის პატრონს სცემეს.—გაძარცვეს ივანე წაქაძის ფართლის მაღაზია, წაიღეს ფულათ 360 მანეთი.—სცემეს მელიტონ კაპანაძეს და გაიტანეს სახლიდან, თუ რამე გააჩნდა: ნოხები, ფარდაგები, ბალიშები, საბნები, ტანსაცმელი, უკანასკნელი პერანგიც არ დაუტოვებიათ.

გალახეს სასტიკათ ნიკო ლიმონაშვილი, ბაგრატ წაქაძე, ნიკიფორე სულაქველიძე, მარკიან წაქაძე, გააუპატიურეს სხვადასხვა ოჯახებში თორმეტი გასათხოვარი ქალი.

## „ელვის“ საპასუხოთ

—

სამი ნომერი განოვიდა „ნობათისა“ და „ელვამ“ უკვე სამჯერ წაგვკრა ბრჭყალები. გვემდურის... თქვენც სხვებსავით ილანძღებითო. არ ვიცით, რა მაინც და მაინც ლანძღვა-გინება იყო „ნობათში“. მართალია სოციალ-დემოკრატიას სოციალიზმის გადახვევას ვუმტკიცებთ, მის აზრების, მოქმედების არევდარევას ვყოფთ აშკარად, მაგრამ ეგ რა ლანძღვა-გინებაა? ეგ სიმართლეა. რა ვქნათ ეხლა, თუ ყოველ ჭეშმარიტების თქმა სოციალ-დემოკრატიის დამცირებაა! რა ვქნათ, თუ სოციალ-დემოკრატიის სიყალბეზე აშენებულ მსოფლ-მხედველობის, მოქმედების და პროგრამის კრიტიკული განხილვა მას მისი დიდების პიედესტალიდან ძირს, ტალახში აგდებს! რა ვქნათ, ეს ჩვენი ბრალი არ არის, ეს აგრეა და ჩვენც აგრე უნდა ვსთქვათ. აგრე ვამბობთ, შილლერისა არ იყოს, იმისთვის, რომ სხვაფერ თქმა არ შეგვიძლია. რადგან სხვაფერ თქმა ან ჭეშმარიტების გზიდან გადახვევა იქნება, ან ჭეშმარიტების სანახევროდ გამოთქმა. ყოველ შემთხვევაში ჩვენს სამ ნომერში „ელვა“ *) ერთხელაც არ მოგვიხსენებია. რა სახსენებელია „ელვა“? რა ტეორეტიულ და გონებრივ ძალას წარმოადგენს „ელვა“? განა „ელვასთან“ სერიოზული ბაასი შესაძლებელია? ჩვენც გადაწყვეტილი გვაქვს ავიკრძალოთ შემდეგში ჩვენი გაზეთის ტექსტში „ელვის“ ხსენება. თუ საჭიროება მოითხოვს, მათ შენიშვნებში მოვიხსენიებთ, ისე რომ ტექსტში მკითხველი „ელვას“ არ ხედავდეს. მათთვის შენიშვნებიც ბევრია. ჩვენ სოციალ-დემოკრატებზე გვაქვს ლაპარაკი და არა „ელვის“ გონებრივ უძლურებთან.

„ელვის“ რედაქტორებს ჭკუა და ცოდნა ვერ გადმოუღიათ თავიანთ მამათ მთავრებისაგან, მაგრამ მათი პოლემიკური მანერა კი ძალიან კარგად შეუთვისებიათ. ეს უფრო ადვილია, მაგისთვის მაიმუნის ჭკუაც საკმარისია.

„ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „ნობათი“ და სხვა მოწინავე, თუმცა არა სოციალ-დემოკრატიული გამოცემები, მან სარეაქციო და სახულიგანო გაზეთთა რიცხვში აურია. ვიცნობთ მაგ მანერას—ის ერთობ ძველია. სოციალ-დემოკრატებს, ამ თანამედროვე კათოლიკებს ის იეზუიტების მამათ-მთავარ ლუაილასაგან აქვთ ნაანდერძევი; **Клевещите, клевещите, авось что нибудь пристанетъ.**

„ცნობის ფურცელმა“ ჩვენს ლანძღვაში დალია სულიო. არა მგონია, რომ საქართველოში მოიპოვებოდეს ისეთი ღვთისაგან განრისხული სულელი, რომელმაც ეს დაიჯეროს და ისეთი წამხდარი და გაფუჭებული გონებრივად, რომელმაც მაგგვარ ხარისხის ინსინუაციის განმეორება იკადროს. რაც შეეხება „დამარხულ“ ანარქიზმს, ამის შესახებ აი რას მოგახსენებთ: დიდი ხანია მარხავთ თქვენ მას ყოველ პატიოსან და არა პატიოსანის საშუალებით, მაგრამ საკვირველია! თქვენმა დამარხულმა მკვდარმა ბევრ ქვეყნებში თქვენ კიდეც დაგმარხათ და გულზე ლოდიც დაგადვათ. რაც შეეხება მომავალს, მოხუც დომელა ნიევენჰეისის არ იყოს, შორს აღარ არის წამი, როცა თქვენი რეალურად და სამუდამოდ დამარხვის დღე დადგება.

გეყოთ რაც აბრიყვეთ ხალხი, გეყოთ რაც იმის უვიცობაზე სპეკულიაციით იცხოვრეთ! გეყოთ რაც ტყუილები გაასაღეთ, აწ ანგარიშის დრო დადგა. ანარქიზმი ისეთ საშინელ აფთართა საშინელ კბილებს გადაურჩა, როგორიც მარქსი და ენგელსი იყვნენ! ერთი მითხარით ეხლა, რა უნდა დააკლოს მას თქვენმა უკბილო ღრანჭებმა?

სხვაფერ მშვიდობით იყავით!...

ძ—.

---

*) „ელვა“ ფრჩხილებში, თორემ ეს „ელვა“ ისე ელავს, როგორც ის, რასაც გურულები წუნკალას ეძახიან.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.